



# შერევის მასნი

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №2(64) 2014 წ. 16-31 იანვარი ფასი 50 თეთრი

## ქართული ბანკანალიზაცია

**27** იანვარს მართლმადიდებელი ეკლესია წმინდა ნინოს ხსენების დღეს აღნიშნავს. ხალხმრავლობა ამ დღეს ბოღბუში, მორწმუნე მრევლი წმინდანის საფლავს მიეახლება და ღოცავს ადავლებს.

ქართველთა განმანათლებლისა და მოციქულთა სწორის, წმინდა ნინოს ქადაგებით, საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად 326 წელს გამოცხადდა, როდესაც სამეფო ტახტი მეფე მირიანს და დედოფალ ნანას ეკავათ.

წმინდა ნინო წარმოშობით კაპადოკიის ქალაქ კოლასუდან იყო. 12 წლის იყო, როდესაც მისმა მშობლებმა, ზაბულონმა და სოსანამ გაუიფეს მთელი ქონება და ღარიბ-ღატაკებს დაურთეს. წმინდა ზაბულონი მოინარეო იორდანეს მიღმა, უდაბნოში განმარტოვდა. წმინდა სოსანა პატრიარქმა უძღური დედების მომვლელად განაწესა. წმინდა ნინო მაცხოვრის საფლავის მომვლელ ქალს სარა ბეთლემელს მიაბარა აღსახრდელად. წმინდა ნინომ მისგან შეიტყო, რომ მაცხოვრის კვართი საქართველოში, სამეფო ქალაქ მცხეთაში იყო დაკრძალული.

ერთხელ ღვთისმშობლის ხატთან მლოცველი ნინო საღვთო ძალამ აღიტაცა. მას ყოველდღე წმინდა ქალწული გამოეცხადა და უთხრა: „პაპ, წარგზავნი ჩემს წილხვედრ ჩრდილოეთს ქვეყანაში, საქართველოში, წადი სიმხნით და უშიშრო და მის მეყიდრთ ჭეშმარიტება უქადაგე“. შეძრწუნებულმა წმინდანმა მიუგო: „დედოფალო, როგორ შევძლებ ამას სუსტად და უსწავლელი დედაკაცი, ან რა მექნება ამ საქმის ნიშნად და წინამძღვრად?“ მაშინ ღვთისმშობელმა მოკვეთა იქვე ამოსული ვახის შტო, რომლისხანაც ჯვარი შექმნა, მისცა და უთხრა: „ამით დასძლევ უშიშროს ყველა მანქანებსა და წარმართავ ქადაგებას, ხელო მე შეგაწვევი და აზერ დატოვებ“.

## წმინდა ნინო

ხელების შემდგომ წმინდა ნინომ იხილა, რომ ხელში ვახის ჯვარი ეყურა, და აღიდა უფალი და ღვთისმშობელი. მან პატრიარქს მოუთხრო ყოველივე და ამ სასწაულის ნიშანი, ღვთისმშობლის მიერ ბოძებული ჯვარი აჩვენა.

წმინდა ნინო ზაფხულის დამდეგს ჯავახეთის მთებში შემოვიდა საქართველოში. ფარავნის ტბასთან ორი დღე შენერდა და მეთევზისგან მირთმეული საკვებით ძალა მოიკრიბა. დასასვენებლად მიწაზე მიწოდებულ ძილში ბრწყინვალე კაცი ეჩვენა, რომელმაც დაბეჭდილი წერილი მისცა და უთხრა: „ეს წერილი წარმართთა მეფეს მიართვი, როგორც მოსეს ქვის ფიცარზე. მასშიც 10 სიტყვა იყო დაწერილი:“

1. „სადაც ეს სახარება იქადაგება, იქ ითქვას ამ დედაკაცის შესახებ“ (მათე 26.13)
2. „არც მამაკაცებმა, არც დედაკაცებმა, არამედ თქვენ ყოველნი ერთნი ხართ“ (გალატელთა მიმართ 3.28).
3. „წადით და მოიმოწავეთ ყოველნი წარმართნი და ნათელს სცემდით მათ სახელითა მამისათა და ძისათა და წმინდისა სულისათა“ (მათე 28.19)
4. „ნათელი გამობრწყინდა წარმართთა ზედა დიდებულ ერისა შინისა ისრაელისა“ (ლუკა 12.32)
5. „იქადაგეთ სახარება სასუფევლისა ყოველსა სოფელსა“ (მარკოზი 16.15)
6. „რომელმაც თქვენი იმხინოს და შეგიწყნაროთ, მე შემიწყნარა, და რომელმაც მე შემიწყნაროს, შეიწყნარის ჩემი მომავლინებელი“ (მათე 10.40)

7. „ძალიან უყვარდა უფალს მარიამი, რამეთუ მარადის მის ჭეშმარიტ სიტყვას ისმენდა“.

8. ნუ გეშინიათ მათგან, რომელთაც მოსწყვიტონ ხორცი თქვენი, ხოლო სულთა მოწყვეტა არ ძალუთ“ (მათე 10.20)

9. „უთხრა მარიამ მგელდინელს იესომ, „წადი დედაკაციო და ახარე დათა ჩემთა“ (იოანე 20.17)

10. „ყველგან იქადაგეთ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა“.

ხელების შემდეგ წმინდა ნინომ დიდხანს ილოცა, მხურვალედ შევედრა ღვთისმშობელს და შემწეობა სთხოვა.

## წმინდა ნინო

დღევ კურთხეულ ღმერთისგან, გრთავს საოცრება მრავალი, არც არსებულა მეტი გზა, უკვდავებისკენ სავალი.

მდაბლად გისრიან მთები თავს, თავი დახარეს ქარებმაც, მხურვალე ღოცვით თბები და კვლავ ჩვენკენ მოგვექარება.

წინ მოუძღვინარ სხვა დარებს, მადლის სხივებით აგვავსე, მას, ვინც ვახის ჯვარს ატარებს, გულად უფოტავს თავად მზე.

თან გდევს ცის კდმა, სიმშვიდე, რწმენა სულს ყველას უმაღლებს...

წმინდა ნინო, იდიდე, ჩვენთვის ყვედრე უფალ ღმერთს!

რომან ზუკაკიშვილი

## სოფლის მეურნეობა

# პროგრამა ბრძოლდასა

საქართველოს მთავრობა წელსაც აგრძელებს ქვეყნის მცირემწიფიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების შესრულებაში ხელშეწყობის პროგრამას. თუ როგორ და რა ფორმით განხორციელდება ჩვენი მიწათმოქმედებისათვის მთავრობის ეს თანადგომა, ამ საკითხებზე სასაუბროდ 18 იანვარს საგარეჯოს ეწვივნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეროვნული სააგენტოს მთავარი სპეციალისტები გივი ჭონიაშვილი და შოთა ცუკოშვილი. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში სიახლეების განხილვას მათ დახმარებდა მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ბესო მარტიაშვილი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი ნიკო ჯავახიშვილი, მთავარი სპეციალისტები: აკაკი დეკანოზიშვილი, გივი ათაბეგაშვილი, გივი მათიაშვილი, გიორგი დვალი, მუნიციპალიტეტის სოფლების რწმუნებულები. აღნიშნული საკითხით დინტერესებული მოქალაქეები.

როგორც შეხვედრის დასაწყისში გივი ჭონიაშვილმა აღნიშნა, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, თებერვლიდან უკვე არაქვეყნულად უნდა დაიწყო საგაზაფხულო სამუშაოების შესრულებაში მიწათმოქმედთა დახმარების პროგრამის ამოქმედება, კერძოდ, მიწების საგაზაფხულო ხვნა. მაგრამ შარშანდღისგან განსხვავებით წელს დახმარების ამ პროგრამაში ბევრი სიახლეა. პირველი და ძირითადი სიახლე ისაა, რომ თუ შარშან სასოფლო-სამეურნეო ბარათები გაიცემოდა იმ ვალებზე და ფერმერებზე, რომლებსაც კერძო მფლობელობაში გააჩნდათ 5 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო საგარეჯო, წელს ეს ბარათები გაიცემა მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც საკუთრებაში ფლობენ

1.25 ჰა-მდე მიწის ფართობს. ამის გამო შარშანდელი სივებიდან ბევრი ბენეფიციარი ამოვარდა და სამინისტროში გადაგზავნილმა სივებმა მნიშვნელოვანი კორექტირება განიცადა.

ამ სივების მიხედვით სასოფლო-სამეურნეო ბარათების მიმღები პირები ორ კატეგორიად დაიყო, I – ისინი, ვინც ფლობენ 0-დან 0.25 ჰა-მდე მიწას და II – 0.25-დან 1.25 ჰა-მდე სახნავ ფართობებს. აქედან I კატეგორიის ბენეფიციარები მიიღებენ 50 ლარის ექვივალენტურ ნომინალურ ბარათებს, II კატეგორიის კი დაურთდება 140 ლარის ექვივალენტური ნომინალური ბარათები.

ამ ბარათების მიღებამდე ბენეფიციარები ვალდებული არიან საქართველოს „ლიბერთი ბანკის“ შესაბამის ფილიალში პირადობის მოწმობის წარდგენით აიღონ ელექტრონული პლასტიკური ბარათები, რომლებიც მათ წელს უკვე საფასურის გარეშე გადაეცემათ. ეს პლასტიკური ბარათები საჭიროა იმისათვის, რომ ბენეფიციარებმა მათი მეშვეობით შეძლონ პროექტის ფარგლებში სათანადოდ დარეგისტრირებულ საგაჭრო ობიექტებში მათთვის სასურველი მსხამქიმიკატების, სასუქების და შესაწამლი პრეპარატების შეძენა. ამ საქმეში სიახლე იქნება ისიც, რომ აღნიშნული პროგრამით მათ წელს უკვე შეეძლებათ აღნიშნული პრეპარატები შეიძინონ არა ერთ მაღაზიაში, როგორც ეს შარშან იყო, არამედ სხვადასხვა საგაჭრო დაწესებულებებში.

ბარათების გამოყენების საქმეში სიახლეა ისიც, რომ წელს ბენეფიციარებს აღარ შეეძლებათ მათი მეშვეობით შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ინვენტარი და ელექტროტექნიკა. გივი ჭონიაშვილის განმარტებით, პროგრამა არ ითვალისწინებს I კატეგორიის (0-დან 0.25 ჰა-მდე) მოხვნას, რომლებიც ბენეფიციარებს სხვადასხვა ადგილას და ეზოებში გააჩნიათ. მოხვნებზე მხოლოდ ის მიწები, რომლებიც მა-

სივებშია მოხვედრილი. იმ შემთხვევაში, თუ სასოფლო-სამეურნეო ბარათის მიღებისათვის ბენეფიციარს უკვე დამუშავებული აქვს მიწა, მათ შეუძლიათ ეს ბარათები დააბრუნონ უკან, რაც უნდა გადაიგზავნოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სამსახურში, სადაც მოხდება მათი გაუქმება, ხოლო აღნიშნული თანხა დაჯდება ბენეფიციარის ანგარიშზე.

ამ თანხის ბანკიდან გამოტანა არანაირი სახით არ მოხდება და ამის მცდელობა სათანადოდ დაისჯება. ყოველივე ეს ზემოთქმული შეეხება სახნავი მიწის რწმუნებულებს შეუძლიათ სასოფლო-სამეურნეო ბარათები (სხვა ქვეყნის მოქალაქეები, პატრონის გარდაცვალების გამო), ამ შემთხვევაში სოფლის რწმუნებულებს შეუძლიათ სასოფლო-სამეურნეო ბარათის მიმღებ პირთა სიაში მათ მაგივრად ჩაწერონ მათი ოჯახის წევრები: დედა, მამა, შვილი, და-ძმა, ბებია-პაპა, შვილიშვილი, თუ ისინი ერთად ცხოვრობენ, მაგრამ არა ცალკე კომლად მცხოვრები.

როგორც გამომსვლელმა აღნიშნა, სივებში სხვადასხვა მიზეზით ხდება პირთა გაორებები, ერთი და იგივე ნაკვეთი პირზე ჩაწერილია ორჯერ. არიან პირები, რომელთაც მიწის ფართობები გააჩნიათ სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში და ტერიტორიულ ორგანოებში. ამ შემთხვევაში ბენეფიციარს სასოფლო-სამეურნეო ბარათი



მიეცემა იმის მიხედვით, თუ სად უფრო მეტი მიწის ნაკვეთი ირიცხება მის სახელზე. გივი ჭონიაშვილი ასევე შეეხო იმ დარღვევებსა და შესაძლო უზუსტობებს, რაც შესაძლოა აღმოჩნდეს როგორც პრობლემურ, ისე ძირითად სივებში და დამსწრეთა განუპარტა ამ ხარვეზების გამოსწორება-აღმოფხვრის გზები. მან ასევე ამოწმურავი პასუხი გასცა შეხვედრაზე დამსწრე სოფლის რწმუნებულთა მიერ დაყენებულ პრობლემებსა და შენიშვნებს და სთხოვათ მ/წლის თვის ბოლომდე სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტოს გადაუგზავნონ შემოწმებული და დაზუსტებული სივები, რათა 1 თებერვლისათვის ეს ბარათები უკვე საგარეჯოში გადაიგზავნოს და დროულად დაიწყო საგაზაფხულო ხვნის სამუშაოები. მანამდე დარჩენილ დროში სააგენტოს მუშაკები და შესაბამისი საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურები ეწვევიან და კახეთის რეგიონებში ჩაატარებენ სათანადო საინფორმაციო-საკონსულტაციო სამუშაოებს.

შეხვედრის დასასრულს დამსწრეთ მიმართა საგარეჯოს შპს „მეკანიზატორის“ დირექტორმა გია მარხვაშვილმა, რომელმაც ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულებს სთხოვა ადვილდებზე ბენეფიციარების ორგანიზებით დახმარება აღმოუჩინონ ხვნაზე დასაქმებულ მექანიზატორებს ამ კამპანიის დროულ და შემიძლირებულ ვადებში ჩატარებისათვის.

გივი ლაბახიშვილი



# მუნიციპალური გვერდი

## საგარეო მუნიციპალიტეტის

## საპრემიერო

## რეპორტი სკოლაში

16 იანვარი, 2014 წ.

სლომაზე განხილულ საკითხზე „საგარეო მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის №35 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ მოხსენება გააკეთა **საგარეო მუნიციპალიტეტის გამგეობის ბიუჯეტის დადგენილების და ადგილობრივი ფინანსების მართვის უფროსმა თამარ შტიანაშვილმა**. როგორც მან აღნიშნა: საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე ცვლილება შევიდა საგარეო მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტში და მისი მოცულობა განისაზღვრა 88324.2 ათასი ლარის ოდენობით. საგარეო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები 1703,6 ათასი ლარით (მ.შ. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 აპრილის განკარგულების საფუძველზე „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საგარეო მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 1635.2 ათასი ლარით და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის განკარგულება №34-ის საფუძველზე რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის გამოყოფილი 68.4 ათასი ლარით). 86.3 ათასი ლარით შემცირდა 2014 წლის 1 იანვრისათვის არსებული ნაშთი (მ.შ. 58.5 ათასი ლარით არის „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში 2013 წ. 17 მაისის №466 განკარგულებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოსული თანხებიდან, ხოლო 27.8 ათასი ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებიდან).

მოხსენებაში ხაზი გაესვა იმას, რომ საგარეო მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის ხარჯები გაიზარდა 1789.9 ათასი ლარით.

კონკრეტულად კი საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების მუხლით შემცირდა საკადასტრო და აზოპეითი სამუშაოების ჩატარებისათვის გამოყოფილი 10.0 ათასი ლარით, რომელიც გადატანილი იქნა იგივე სამუშაოების ჩატარებად ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციაში. საყურადღებოა, რომ ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია გაიზარდა ასევე საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 აპრილის №311 და 2014 წლის 13 იანვრის №34 განკარგულებით ჩასატარებელ სამუშაოებზე გამოყოფილი თანხებით. კერძოდ: გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები გაიზარდა 291.8 ათასი ლარით, მათ შორის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 264.0 ათასი ლარით. როგორც ცნობილია 262.1 ათასი ლარია გამოყოფილი საგარეოს მუნიციპალიტეტში სოფლებში: პატარა ჩაილური-კაკაბეთი-ვერხვიანი-ყანდაურის დამაკავშირებელი გზის მოსაფაღვრების სამუშაოების, 1.9 ათასი ლარი „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოებისათვის, ხოლო სხვა საქონელი და მომსახურების მუხლი 27.8 ათასი ლარით განისაზღვრა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის განკარგულება №34-ის საფუძველზე

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის. სანიაღვრე არხების ადგენაზე გამოყოფილია 453.0 ათასი ლარი, კონკრეტულად კი 450.0 ათასი ლარი ქ. საგარეოში სანიაღვრე არხების ადგენის სამუშაოების და 3.0 ათასი ლარი „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოებისათვის.“ მომხსენებელმა, ასევე ისაუბრა წყალმომარაგების ხარჯების გაზრდის შესახებ. კერძოდ, როგორც მან აღნიშნა, წყალმომარაგების ხარჯები გაიზარდა 982.2 ათასი ლარით, მ.შ. არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით 947.8 ათასი ლარით (სოფელ ნინოწმინდაში ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები დაფინანსებულია 409.6 ათასი ლარით, სოფელ ხაშმის ცენტრალური მაგისტრალის დახანგებული მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები 500.0 ათასი ლარით, 24.8 ათასი ლარია „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოებისათვის), სხვა საქონელი და მომსახურება კი 34.3 ათასი ლარით (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის განკარგულება №34-ის საფუძველზე რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების

შესყიდვისათვის). რაც შეეხება სკვერების, ბაღების, მოსაცდლების, გაზონებისა და ტროტუარების მოწყობის ხარჯებს, გაიზარდა 253 ათასი ლარით („სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოებისათვის). აღსანიშნავია ისიც, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება გაიზარდა – სკოლაშენი დაწესებულებებისათვის საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №34 განკარგულებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის გამოყოფილი 6.3 ათასი ლარი და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გამოყოფილი 3.4 ათასი ლარი, აგრეთვე, სკოლაშენი აღზრდის დაწესებულებების სუბსიდიის შემცირდა ბაჟშეთა კვებაზე გამოცხადებული ტენდერების შედეგად შემცირებული 52.0 ათასი ლარით და გაიზარდა არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი (42.0 ათასი ლარი მოხმარდება მუნიციპალიტეტის 24 საბავშვო ბაღში წყლის გამაცხელებლების დამონტაჟებას; ხოლო 10 ათასი ლარი მოხმარდება საგარეოს №3 საბავშვო ბავშვების შენობის სახურავის გამოცვლას).

მუნიციპალიტეტის სპორტსკოლის დონსიძიებების ხარჯები შემცირდა 4.0 ათასი ლარით და შესაბამისად, გაიზარდა აი.პ. „სპორტული გაერთიანების“ ხარჯები 4.0 ათასი ლარით (აქ იგულისხმება ხრიდოლის მწვრთნელის ხელფასი), ამავე სპორტგაერთიანების მოთხოვნით მათი სუბსიდიიდან 2.5 ათასი ლარი გადატანილ იქნა არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში.

მუნიციპალიტეტის უმწვეო მოქალაქეთა ფონდი გაიზარდა – საგარეოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის 110 განკარგულებით აღებული ვალდებულების დასაფარავად გამოყოფილი 27.8 ათასი ლარით.

სხლომამ განხილულ საკითხზე მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

# საირიგანბო არხების რეაბილიტაცია იწყება

22 იანვარს საგარეოს გამგეობის სხდომაზე დარბაზში „სოფლიო ბანკის“ საქართველოს წარმომადგენლები ლალი დურმიშიძე, ლევან ცხომეიშვილი, თამარ ცინცაძე, საქართველოს გაერთიანებული სამედიორაციო სისტემების კომპანიის წარმომადგენლები დავით კიკლაშვილი, გიორგი კალანდიაძე, შპს „საქართველოს გაერთიანებული სამედიორაციო სისტემების“ კომპანიის ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის სამმართველოს წარმომადგენლები უშანგი თაბაგარი და თემურ გრატიაშვილი საგარეოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულებსა და მუნიციპალიტეტის ფერმერებს შეხვდნენ.

შეხვედრის მიზანი იყო საგარეო მუნიციპალიტეტისათვის გაეცნოთ ის პროექტი, რომელსაც „სოფლიო ბანკი“ საქართველოში მიწის ბაზრისა და ირიგაციის შემდგომი განვითარებისათვის გეგმავს. როგორც „სოფლიო ბანკის“ წარმომადგენელმა საქართველოში ლალი დურმიშიძემ აღნიშნა, აღნიშნული ბანკი საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის 70 მილიონ დოლარის გამოყოფას ვარაუდობს, საიდანაც 50 მილიონი სწორედ საქართველოს საირიგაციო არხების რეაბილიტაციის სამუშაოებს მოხმარდება. აღნიშნული თანხიდან 10 700 000 დოლარი იგეგმება ქვემო სამგორის მაგისტრალური არხის ერთი ნაწილის, კერძოდ არხის მარჯვენა ნაწილის რეაბილიტაციისათვის. აღნიშნული სამუშაოების დაწყება მისიდან არის შესაძლებელი, მაგრამ სამუშაოების დაწყებამდე მოხდა მთლიანი, ქვემო სამგორის საირიგაციო არხის დათვალიერება, რომელშიც მონაწილეობდა კომპანია „გამას“ წარმომადგენელი გიორგი ბუაღაძე. როგორც მან შეხვედრაზე აღნიშნა, აღნიშნული მაგისტრალის დათვალიერება მოხდა გარემოს დაცვის პრობლემების შესასწავლად. რაც შეეხება არხის მარჯვენა მხარეს, აქ პრობლემები არ არის გრუნტის თავისებურებების მიხედვით, რადგან მარჯვენა მაგისტრალს თითქმის მთლიანად გასდევს სამანქანო გზა. მცირე ხარვეზები აღინიშნება, რომელიც უკანონოდ წყლის ჩაშვებას უკავშირდება. აქვეა, რამდენიმე ადგილზე შინაური პირუტყვის დასარწყველად მოწყობილი ადგილები, რომლებიც კარგად უწყობს არხის ფერდობებს, ქმნის აფორიის საშიშროებას. – აქ ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს ხელოვნურად, უკანონოდ გაკეთებულ დასარწყველად ადგილებს, მოხდეს ან აკრძალვას, ან კეთილმოწყობა, რათა არ მოხდეს სარწყავი წყლის უკანონოდ ხარჯვა, – აღნიშნა გიორგი ბუაღაძემ. მისივე ინფორმაციით, არხში და მიმდებარე ტერიტორიაზე შექმნილია უკანონო ნაგავსაყრდენები, საიდანაც საყოფაცხოვრებო ნარჩენები ადვილად ხვდება არხში.

# სარწყავი წყლის პრობლემა მოიხსნება



– იმის გამო, რომ აღნიშნული პროექტი ხორციელდება სახელმწიფო კრედიტით და ეს კრედიტი საკმარის მდღეა, თავად „სოფლიო ბანკი“ დიდ ყურადღებას აქცევს გარემოს დაცვის მიერ რვე საკითხებს, – აღნიშნა საუბარში საქართველოს სამედიორაციო კომპანიისა და წყალმომარაგებელთა ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა დავით კიკლაშვილმა, – ამიტომ გარემოს დაცვას, ხელოვნური ნაგავსაყრდენების შექმნას არხის პირებსა და მის სიახლოვეს, ყურადღება უნდა მივაქციოთ ყველამ, იმ ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმაც და რეგიონში მოქალაქეებმაც. რაც შეეხება მიწის ფართობების მორწყვას, ფერმერსა და გლეხს წლის დასაწყისიდანვე შეუძლია ხელშეკრულების გაფორმება ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის სამმართველოს ხელმძღვანელობასთან. როგორც ცნობილია, 1 ჰა მიწის ფართობის მორწყვა საქართველოს ადმინისტრაციულ რეგიონში 75 ლარი ღირს, ხოლო დასავლეთში – 45 ლარი. ამ თანხის გადახდა ფერმერსა თუ გლეხს ხელშეკრულების დადებიდან წლის ბოლომდე შეუძლია, თუ არ გადაიხდის, მაშინ მისი საკითხი წლის ბოლოსათვის სასამართლოს გადაეცემა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ ერთი პექტარი ფართობის მოსარწყავად ფერმერი იხდის თანხას მხოლოდ ერთხელ და მას საშუალება ეძლევა რამდენჯერაც უნდა, იმდენჯერ მორწყვას ნაკვეთი წინასწარ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით. მაგრამ აქ განათვალისწინებელია ერთი საკითხიც – თუ გლეხს აქვს 2 ჰა-მდე მიწის ნაკვეთი, მან ხელშეკრულების დადებიდან 10 დღეში უნდა გადაიხადოს მორწყვის თანხა. ამ შემთხვევაში ხელშეკრულებას პატარა ხელშეკრულება ჰქვია, რისი დადების შემდეგ გლეხი გრაფიკით კი არა უგრაფიკოდ იღებს მორწყვის ნებართვას. ხოლო თუ გლეხს, 4 ჰა-მდე და მის ზემოთ აქვს მიწის ნაკვეთი,

ის გრაფიკით იღებს წყალს და 1 წლის განმავლობაში იხდის წელით სარგებლობის გადასახადს ხელშეკრულების დადებიდან.

იმ შემთხვევაში, თუ გლეხი უნებართვოდ, ხელშეკრულების გარეშე მოახდენს მორწყვას, მაშინ მას დაეკისრება 250 ლარი ჯარიმა და სრულად გადაიხდის ნაკვეთების მორწყვისას გამოყენებული წყლის ღირებულებას.

როგორც შეხვედრაზე გამოიკვეთა, გარდა მაგისტრალური არხის მარჯვენა ნაწილის სარეაბილიტაციო სამუშაოებისა, რომლის პროექტიც კომპანია „საქწყალპროექტი“ გააკეთა, ასევე, უახლოეს მომავალში მოხდება არხის მარცხენა ნაწილის რეაბილიტაცია, ყურადღება მიექცევა შიდა ქსელებს, მოხდება მისი რეაბილიტაცია, მაგრამ შემდეგ ისმის კითხვა, ვინ უპატრონებს მის სწორ ექსპლუატაციას?! საამისოდ, საჭიროა, ადგილებზე შეიქმნას გლეხების მიერ სახელმწიფო ასოციაცია, რათა კონტროლი გლეხის წყლის გამანაწილებლების, ჩამკეტი ფარების, ყველა იმ მოწყობილობის სწორ ექსპლუატაციას, რომელიც ერთობ ძვირადღირებულია.

შეხვედრაზე აღინიშნა ისიც, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის დაჭაობებული მიწის ნაკვეთები. ამის ძირითადი მიზეზი კი მიწისქვეშა სადრენაჟო ქსელების გაბინდვა, ექსპლუატაციიდან გამოსვლაა. აღნიშნული ქსელები 20 წელზე მეტია უპატრონოდა, რის გამოც მთელი რიგი ნაკვეთები დაჭაობდა და განდა ტენისმოყვარე მცენარე – ჩაღა. ასეთი ადგილები კი გამოუყენებელია დასამუშავებლად. აღნიშნული ქსელების, დაჭაობებული ნაკვეთების დაშრობის პროექტზე უკანონო კომპანია უკვე მუშაობს.

შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების წარმომადგენლებმა, ფერმერებმა შეხვედრის მონაწილეების წინაშე დააყენეს მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც თითოეულ სოფელს საირიგაციო სისტემების გაუმართაობის გამო შეექმნა და მოითხოვეს ამ პრობლემების დროულად გადაწყვეტა.

შეხვედრას ესწრებოდნენ **საგარეოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ილია ზინაშვილი** და **გამგეობის მოვალეობის შემსრულებელი ბესო მარტიანაშვილი**.

# ახალი ამბები

## მუნიციპალიტეტის გამგეობა თათბირი



28 იანვარი, 2014 წ.

საგარეოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირს **ამავე მუნიციპალიტეტის მოვალეობის შემსრულებელი ბესო მარტიანაშვილი** უძღვეოდა. მან თათბირის დასაწყისში გამოიტოხა მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოებში მიმდინარე მოვლენები და ყურადღება გაამახვილა იქ არსებულ პრობლემებზე. პრობლემების დრმად და საფუძვლიანად გაანალიზების შემდეგ დაისახა მათი აღმოფხვრის გზებიც. ლამბალოს რწმუნებულის მუბარის მამუდოვის ინფორმაციით, ლამბალოში 27 იანვარს დაიწყო საჯარო სკოლის შენობის მშენებლობა.

თათბირზე სურსათის ეროვნული სააგენტოს კახეთის რეგიონული სამმართველოს სპეციალისტმა ჯიმშერ ოსიაშვილმა გააკეთა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2014 წელს ცხოველთა ეპიდემიის ჩატარების ვადებზე. როგორც მან აღნიშნა, ვაქცინაცია თურქულსა და ჯილვსზე წლის განმავლობაში ჩატარდება ორჯერ. თურქულზე – გაზაფხულზე მარტსა და აპრილში, შემოდგომაზე – აგვისტო-სექტემბერში, ხოლო ჯილვსზე – გაზაფხულზე – აპრილ-მაისში და შემოდგომაზე – ოქტომბერ-ნოემბერში. ასევე, ცოფზე ჩატარდება აცრები – თებერვალში. რაც შეეხება გამოკვლევებს ტუბერკულოზსა და ბრუცელოზზე, გამოკვლევები ჩატარდება მაისში-ივნისში, ივლისსა და აგვისტოში.



IV-ლან XXI საუკუნეში

ვარიზმის კოლონიური პოლიტიკის შედეგად ნინოწმინდა და ცარიელების გზას დაადგა. 1884 წლის გაზეთ „დროებაში“ ნინოწმინდის ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი ალექსი გულისაშვილი წერდა: „ნინოწმინდაში სახლების მომეტებული ნაწილი მიწურია და ახლო ზედმიწვილი“. დაეცა სწავლა-განათლების საქმეც. ეპარქიის გაუქმების შემდეგ ნაბეჭდი და ხელნაწერი წიგნების დიდი ნაწილი თბილისში წაიღეს. იმავე ალექსი გულისაშვილის ცნობით 1884 წლისათვის „ქართველები ნინოწმინდაში ას კომლზე მომეტებული იქნებიან და ერთ კაცს ვერ იპოვით მათში, რომელმაც წერა-კითხვა იცოდეს“. წერილის ავტორი ასკენის, რომ სოფელი ძლიერ საჭიროებს სკოლას, მაგრამ მიუხედავად სოფლის საზოგადოებრიობის მოთხოვნისა, საქმე წინ არ მიდის. იქვე ნათქვამია, რომ ოღონდ მთავრობამ მასწავლებელი მოგვცეს და მის ხელფასს ხალხი გაიდებსო, სკოლისათვის კი ბინის აშენება საჭირო არ იქნება. რადგან ეკლესიის ეზოში ორი ოთახი ცარიელია და იქ შეიძლება სკოლის მოთავსება, თუნდაც მცირე ქირის გამოღებით. ამ საკითხის მოსაგვარებლად სოფლის საზოგადოებრიობას მოთხოვნიდა გამოეყვინა დიდი ქართველი მოღვაწის აკაკი წერეთლის მეგობარი, ნინოწმინდაში მცხოვრები მეწარმე-საქმოსანი ანდრია კაპანაძე, რომელსაც ეს საქმე დადებითად გადაუწყვეტია და ნინოწმინდის ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთით არსებულ ორთახიან შენობაში 1895 წელს დაწყებითი ტიპის სამრევლო სკოლა გაუხსნიათ.

ნინოწმინდის ეკლესიის წინამძღვარი ალექსი გულისაშვილი გვევლინება არა მარტო სოფელ ნინოწმინდის საზოგადოებრივი ცხოვრების მემკვიდრედ, არამედ იგი მთელი გარეგანებით იმდროინდელი ვითარების აღმწერიცაა. იგი ყოველი ზომით ცდილობს რუსეთის კოლონიური უღლისაგან დადგას მთლიანად თანამემამულეების ხვედრის გაუმჯობესებას, თანამშრომლობს იმდროინდელ ქართულ პროგრესულ პრესაში. გლეხობის ხვედრის მართლაც აუტანელი იყო. ცარიზმის კოლონიური უღლის სიმძიმეს ზედ ემთხვეოდა ბუნების კაპრიზებიც, გვალვა და სეტყვა ანადგურებდა სოფლის მცხოვრებთა შრომით შექმნილ ჭირნახულს. აუტანელი იყო მათი საყოფაცხოვრებო პირობები. იმ დროს, როცა სოფლის თავში არსებული ტყეები მთის წყაროებით იყო სავსე, გვალვის დროს

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ტერიტორიული ორგანო

„ნინოწმინდა... კალიგრაფიები მეფეთა...“



სოფელი უწყლობით იტაცებოდა. ილაჯავაწვეტილ ნინოწმინდელებს ხსნის გზად ესახებოდათ მდინარე იორის სიახლოვეს, მის სანაპიროზე ჩასახლებულიყვნენ წყლის გულისათვის, მაგრამ ის აღარ იცოდნენ, რომ მდინარე იორს სიკეთესთან ერთად დიდი უბედურების მოტანაც შეუძლო, ახლა მაღარია დარჩევა ხელს მათ ჯანმრთელობას.

ნინოწმინდელთა ამ გადაწყვეტილებას ისევე საღად მოახროვნენ აღამიანები აღუდგნენ წინ. 1878 წლის №36-ში გაზეთი „ივერია“ გვაძლევს ამის ცნობებს. იმ მომენტში როგორც ჩანს, ანდრია კაპანაძეს სტუმრად სწევდია გზად მიმავალი ვინმე დიმიტრი ქრისტესიას ძე ჩიქოვანი, რომელსაც ხალხისათვის აუხსნია: იქ (ე.ი. იორის პირას) გადასახლება თქვენ კარგს არას მოგიტანთ და შეპირებია დახმარებოდა წყლის გაყვანაში, სოფელში შეუკრებიან ფული, შეუქმნიან გერმანული წარმოების მიღები და სხვა მასალები და პრაქტიკულადაც დაუწყებთ წყალსადენის გაყვანა. ამ საქმის ორგანიზაცია უკისრია ანდრია კაპანაძეს, წყაროს სათავე-ნაგებობა „დრეიდის“ მახლობლად მოუწყვიანთ, რომელშიც ძირითადად „თუშის წყლის“ წყაროებით მარაგდებოდა სათავე-ნაგებობა. სოფელ ნინოწმინდაში სულ 5 საუნბო წყარო მოუწყვიანთ და ოთხი თვის თავზე 1878 წლის 25 აგვისტოს სახეიმოდ გაუშვიანთ სასმელი წყალი. სოფელი ჭეშმარიტად ზეიმობდა ამ დიდად ღირსსახსოვარ დღეს. ახლად გამოყვანილი წყაროს წყალი ნინოწმინდის მღვდელს სპეციალური პარაკლისით უკურთხებიან.

სოფელში სულ ხუთი კრანი (წყარო) დაუყენებიათ თავისი ნაგებით პირუტყვის დასარწყვლებლად ეს წყაროები იყო: 1. დვინიანთ წყარო; 2. დვლიანთ წყარო (ალექსი გულისაშვილის სახლთან); 3. გაღანის წყარო (მონასტრის კარებთან); მაღალაანთ წყარო (გზის პირას ნინოწმინდის შემოსასვლელთან) და 5. მღებრიანთ

წყარო (გზის პირას ნინოწმინდის დასასრულს ქანანას ხევის მახლობლად).

აღნიშნულმა წყაროებმა თითქმის 100 წელს – 1978 წლამდე იარსება.

როგორც უკვე ვთქვამთ, თითქმის 50-საუკუნოვანმა სოფელმა ჯერ ბოდებოდის-მა, ხოლო მე-5 საუკუნიდან ნინოწმინდამ უდიდესი ქართველები გამოიარა და როგორც რელიგიურმა ცენტრმა, ჯერ კერპთაყვანისმცემლების სატაძრო ცენტრმა, ხოლო IV საუკუნიდან ქრისტიანობის გამავრცელებელმა ეპარქიამ სახელოვნად განვლო პოლიტიკური ქართველებითა და სისხლისმღვრელი ომებით გამოვლილი საუკუნეები, გაუძლო ათას ჭირსა და ვარამს და XXI საუკუნეში გაბედულად შემოაბიჯა.

ნინოწმინდა ტიპური ქართული სოფელია, რომელიც ამჟამად თავისი სახელოვანი ტაძრითა და ისტორიით. ნინოწმინდა ამჟამად დროს სამხედრო-თავდაცვითი, საფორტიფიკაციო ნაგებობაა, სადაც ომიანობის დროს თავს აფარებდა და მდებარე ებრძოდა ნინოწმინდას არა მარტო ნინოწმინდის, არამედ ახლო-მახლო მდებარე სოფლების მოსახლეობაც. ნინოწმინდა ამჟამად დროს იყო მოძვე ერების სომხებისა და ებრაელების მეუდრო და საიმედო თავშესაფარიც, მაგრამ სტუმართმოყვარე, მაღალმოსილი ქართველი ხალხის ძმური და გულთბილი მოპყრობის შედეგად მოხდა ამ ხალხის შერწყმა ქართულ მოსახლეობასთან და ახლა ისინი წმინდა ქართველები არიან. თუმცა სიავის და ურიცხვი შემოსევების გამო მასობრივად იხსობოდა ნინოწმინდის მოსახლეობა. მისი ერთი ნაწილი სპარსეთში, ფერეიდანის პროვინციაში გადასახლეს. ნინოწმინდელებმა თან გაიყოლეს სევდა დაკარგული სამშობლოს გამო და უცხო მიწა-წყალზე შექმნილ სოფელს ნინოწმინდა შეარქვეს. ახლა ფერეიდანის ნინოწმინდაში, როგორც მის ადგილობრივ ენაზე, სპარსულად ქუდუბანაქი, ანუ ქუდუბანაქი ჰქვია, 80 კომლი ცხოვრობს 400 სული ქართულ ენაზე მოლაპარაკე ქართველით.

ამგვარად ისტორიული სოფელი ნინოწმინდა ორია, ერთი საქართველოში, მეორე კი დღევანდელ ირანში. თუმცა ბოლო მონაცემებით ფერეიდანში არსებულ ნინოწმინდაში ქართულად აღარ ლაპარაკობენ.

ნინოწმინდამ ირანელ დამპყრობთა 1614-1617 წლების გამაპარტახებელი შემოსევების შედეგად დაპარტახა თითქმის მოსახლეობის 90% მოკლულთა და ირანში გადასახლებულთა სახით, ხოლო უმნიშვნელო ნაწილმა დააღწია თავი განსაცდელს და ტყვესა და მთას შეაფარა თავი. ნინოწმინდამ მოშენება ხელახლა მე-17 საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო, შედარებითი მშვიდობიანობის ჩამოვარდნის შემდეგ ქართველი მეფეები ყოველნაირად ცდილობდნენ ნინოწმინდის ეპარქიის აღდგენას, ეპა-მამულებს სწირავდნენ ეკლესიას, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ასახლებდნენ მოსახლეობას ნინოწმინდაში.

ნინოწმინდაში ძირითადად შემდეგი გვარების წარმომადგენლები ცხოვრობენ: ივანიაშვილები, როსტომაშვილები, მანძულაშვილები, სამხთუაშვილები, შიოშვილები, სუხიაშვილები, სიღამაშვილები, მღებრიშვილები, დეკანოზიშვილები, თამაზაშვილები, ლალიძეები, ასრათაშვილები, ნახყიდაშვილები, კონიაშვილები, ბერიძეები, ტოპეშვილები, ფეიქრიშვილები, ორკოშვილები, ბენაშვილები, გულისაშვილები და სხვა.

1979 წელს გადამდგარი გენერალ-მაიორის პანტელეიმონ შიოშვილისაგან ჩავიწერე ზოგიერთი მონაცემი ნინოწმინდელთა შესახებ, რომელთა შორის ბევრი საგულისხმოა და საჭიროა მათი ამ შრომაში აღნიშნა. გენერლის ნაამბობის მიხედვით აღვნიშნავ „გოგინაძელებს“ უცხოვრიათ კონიაშვილების გვარის წარმომადგენლებს, ღუთისმშობლის ეკლესიის ზემოთ, ზენანაში ბენაშვილებს უცხოვრიათ, დრეიქში ბერიძეებს, „თუშის წყალზე“ – მანძულაშვილებს და ტოპეშვილებს, „მივის გორაზე“ – როსტომაშვილებს, ფეიქრიშვილებს, ივანიაშვილებს.

ალ. კლერაშვილი

XXI საუკუნე



ნინოწმინდის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის ელზარ მფხარძე

დაიბადა 1964 წელს, ქ. თბილისში. 1970-75 წლებში სწავლობდა ჯერ თბილისის 99-ე საშუალო სკოლაში, შემდეგ კი 1975-81 წლებში თბილისის 103-ე საშუალო სკოლაში.

1982-84 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიასში.

1984-1985 წლებში მუშაობდა ავეჯის ფაბრიკა „განთიადში“ დურგლად.

1985-90 წლებში სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გეოლოგიის ფაკულტეტზე, სპეციალობით „ნავთობისა და გაზის საბადოების დამუშავების ტექნიკა და ტექნოლოგია“.

1987 წელს სოფელ ნინოწმინდაში ჩამოაყალიბა „სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის“ შპს „აისი“, რომელიც ფუნქციონირებდა 1995 წლამდე.

2012 წლის დეკემბრიდან ნინოწმინდის რწმუნებულია.

ელდარი საკმაოდ ვრცელ ინფორმაციას ფლობს სოფლის ისტორიული წარსულის შესახებ. – ბატონო ელდარ, ყოველ ქართულ

სოფელს თავისი ტრადიციები, თავისი „ხელწერა“ აქვს...

– დიას, ეს ყველაფერი ასეა. ნინოწმინდა ძირითადი სოფელია, რომლის მოსახლეობასაც მართლაც თავისი ტრადიციები აქვს. ასე, მაგალითად, 27 იანვარი, „ნინოობა“ აქ ისეთი მასშტაბებით და ისეთი სულიერი სიმადლით აღინიშნება, არ მგონია, სადმე იყოს ასეთი ღამაზი დღე. ნაბეჭდიტობით გეტყვით, რომ ნინოწმინდელები არც ერთ დღეს ისე არ ხვდებიან, როგორც „ნინოობას“, თქვენ წარმოიდგინეთ, მასში თავად ახალი წელიც კია გაიგივებული. ამ დღეს ყველა ოჯახში სუფრაა გაშლილი და ყველას სტუმარი ჰყავს. ყველას შეუძლია შესვლა ნინოწმინდის ოჯახში და მასპინძელიც ამ დღეს ყველაზე გულდია.

– რამდენი კომლია დღეისათვის სოფელში?

– იმის გამო, რომ სოფელი თბილისთან ახლოს მდებარეობს, ჩვენთანაც არის სოფელთან დროებით კავშირგაჭკვეტილი კომლები, მაგრამ მთლიანობაში აქ 720 კომლია 2400 მოსახლით.

– სოფლის მოსახლეობა ძლიერია მაშინ, თუ მას საკმაო რაოდენობის სახანა-სათესი, სათიბი, საძოვარი ფართობები გააჩნია...

– ასეა. ნინოწმინდის მიწის ფართობი სულ 3560,5 ჰა-ია. აქედან კერძო მფლობელობაშია 2167 ჰექტარი, მუნიციპალური – 315, ხოლო 1078,5 – სახელმწიფო დაქვემდებარებისა. 2520 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწიდან კერძოა 2167, 38 ჰა სახელმწიფო-ის, ხოლო 315 – მუნიციპალური. 1016 ჰა სახანაო მიწიდან კერძოა 753 ჰა, ხოლო სახელმწიფო დანიშნულების – 263 ჰა. 140,5 ჰა სათიბიდან 140,5 ჰა-ვე ჯერ-ჯერობით სახელმწიფო-ისა. სოფლის 1065 ჰა-დან 165

27 იანვარი, 2014 წელი. „ნინოობა“



ჰა კერძო მფლობელობაშია, 315 ჰა მუნიციპალურია, ხოლო 585 ჰა – სახელმწიფო-ისა. სოფელში მრავალწლიან ნარგავებს 298,5 ჰა უკავია და მთლიანად კერძოა.

– დამეთანხმებით, რომ სოფელი მაშინ ინარჩუნებს თავის იერ-სახეს, თუ ინფრასტრუქტურა აქ მოწესრიგებულია...

– რა თქმა უნდა. დავიწყეთ სასმელი წყლით. წყალი აქ სხვა დროს არ ყოფილა პრობლემა, მაგრამ 50 წლის წინ გაკეთებული სასმელი წყლის სისტემა თანდათანობით გამოვიდა ექსპლოატაციიდან. ალაგ-ალაგ დაიხვრიტა მილები, გაიბლანდა ხის ფესვები და საბოლოო ჯამში პრობლემად იქცა სასმელი წყლის მოსახლეობისათვის მიწოდება. ბოლო ხანს მას ზედ დაერთო ტყის განადგურების შედეგად დაკარგული წყაროებიც. მომხმარებელი უყარათოდ იყენებს წყალს, განსაკუთრებით კი ზაფხულში, როცა ბოსტნების სარწყავად იყენებენ

მას. დღეისათვის მოსახლეობას გრაფიკით მიეწოდება სასმელი წყალი. მარტში საბოლოოდ დამთავრდება ჭაბურღილის მოწყობასთან დაკავშირებული სამუშაოები და სოფლის მოსახლეობის სამსახურში 6 ჭაბურღილი ჩაღებება. ვიმედოვნებთ, რომ ახლა მაინც გადაიტრება ეს პრობლემა. არადა, 2010 წელს აქ წყლის ჩამკეტი ურდულების მოწყობაზე 4500 ლარი დაიხარჯა. 2011 წელს ნინოწმინდაში სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციისათვის „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით 31015 ლარი გაიხარჯა, სასმელი წყლის შიდა ქსელის შეცვლაზე 1,2 კმ-ზე 10000 ლარი (რეკონსტრუქციის ფონდის) მანამდე, 2009 წელს წყალსადენის მაგისტრალური და შიდა ქსელის მოწყობაზე 89200 ლარი. რაც შეეხება 2012 წელს, აქ

დასასრული მე-4 გვერდზე



# ჩვენს მუნიციპალიტეტში

## ტერიტორიული ორგანო

### „ნიონიონდა... კალატები ეფეთა...“

დასასრული

სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციას 41906 ლარი მოხმარდა, მაგრამ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დაზიანებული ქსელი დანაკარგებს უფრო მეტს იძლეოდა და მეტ პრობლემებს აჩენდა.

რაც შეეხება გზებს, აქ 2008 წელს კახეთის გზატკეცილამდე ნინოწმინდის ტაძრამდე მისასვლელი გზის ორმოულ შეკეთებას 119600 ლარი მოხმარდა. ამავე წელს მდინარე იორზე სავარგულეობამდე მისასვლელად ხიდის მშენებლობას 61900 ლარი მოხმარდა, ამ ხიდის რეაბილიტაციას 2010 წელს 22500 ლარი დასჭირდა. გასულ, 2013 წელს სოფლის სავარგულეობამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 20000 ლარი დაჯდა, ხოლო შიდა სასოფლო გზების მოწოდებას 16957 ლარი მოხმარდა. 2009 წელს „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით აქ შემოიღობა სასაფლაო (15200 ლარი), საჯარო სკოლის შენობის რეაბილიტაციას 37000 ლარი მოხმარდა. 2010 წელს წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის კანალიზაციის გაბინდული ქსელის გაწმენდას 300 ლარი მოხმარდა. ამავე წელს მოეწყო დასასვენებელი სკვერი (5900 ლარი), შემოიღობა საჯარო სკოლის ეზო (20000 ლარი), 2013 წელს ნინოწმინდის საბავშვო ბაგა-ბაღში სველი წერტილების მოწოდებას სულ 16000 ლარი მოხმარდა, საიდანაც 5 000 ლარი „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით იყო დაფინანსებული, 11 000 – ადგილობრივი ბიუჯეტიდან. პრობლემატურია კვლავაც ვენახებთან მისასვლელი გზა, რომელიც საკმარის მანძილსა და ეტაპობრივად გვიხდება მისი შეკეთება. ეს სულ 10 კმ-ია.



გასულ წელს მხოლოდ 1 კმ-ს შეკეთება მოხერხდა. სწორედ ამ უზომობამ აუცრუა გული ჩვენს მოსახლეობას ვენახებზე. დღეს ვენახების დიდი ნაწილი მიტოვებულია. ბოლო წლებში მოსახლეობა უფრო მარცვლად კულტურების მოყვანით დაინტერესდა. ამასთან, მოსახლეობა მიწის ნაკვეთებს უფრო სათიბად ხმარობს. ნაეთობის ამოფრქვევის შემდეგ თითქმის თავს არიდებს ბოსტნეულ-ბაღჩეულის მოყვანასაც, მაგრამ პერსპექტივაში, ვფიქრობ, მიეგობრუნდებით მებოსტნეობა-მევენახეობას.

#### პერსპექტივაში რა ჩნდება?

საპატრიარქოსთან არსებული ფონდი „ლაზარე“ ჩვენს სოფელში ფიქრობს სამრევლო სკოლის გახსნას, სადაც საზოგადოებიდან დაინტერესებული პირები აქ 3 წლის განმავლობაში ისწავლიან ჩითილების გამოყვანას, ფართოდ გაეცნობიან სოფლის მეურნეობის ისეთ დარგებს, როგორცაა მებოსტნეობა, მევენახეობა, მეფუტკრეობა. სიმართლე ვითხრათ, ამ საკითხებით სკოლის მოსწავლეები უფრო დაინტერესდნენ და ფონდის წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს, სკოლაში მერვე კლასიდან გააერთიანონ მოსწავლეები. საკვირაო სკოლა ნინოწმინდის ყოფილი რეაქლიანი სკოლის შენობაში დაიწყებს ფუნქციონირებას მომავალი თიდან.

თქვენი საჯარო სკოლის მოსწავლეები საკმაოდ აქტიურად არიან ჩამოყალიბებული სპორტშიც...  
- დიას. აქ მართლაც საამაყო გვაქვს,

მაგრამ უფრო მეტი გვექნებოდა სათქმელი, ჩვენთან სპორტული დარბაზი რომ იყოს. იმის გამო, რომ საგარეჯოსთან ახლოსაა ნინოწმინდა, ამ მხრივ შეზღუდვები გვაქვს – ყველას არ შეუძლია საგარეჯოს სპორტულ დარბაზში სიარული, მაგრამ საამაყოა, რომ გვეყავს მოტიდავეები: ზაზა როსტომაშვილი, გუგა მღებრიშვილი, ლევან მეფარიძე. ნინოწმინდელი მოკრეულების წარმატებებს თქვენი გაზვიადებულად აშუქებს. გვეყავს ფრენბურთის ორი გუნდი – ვაჟთა და გოგონათა, რომლებიც დეკემბერში წარმატებით ასპარეზობდნენ რაიონულ პირველობაზე.

#### ჩვენ უნებლიედ სპორტულ საკითხებზე გადავერთეთ და სარწმუნო არხის შესახებ შეიტყობა გამოიჭრა.

სარწმუნო წყლის ქსელი სოფელში აღარ არსებობს. ეს ქსელი მიუხედავად იმისა, რომ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლებში მოიშალა, რის აღდგენასაც საკმაოდ სოლიდური თანხები დასჭირდება. სწორედ ამის გამოა მოსახლეობა სარწმუნო სასმელ წყალს რომ იყენებს.

#### ელექტროენერჯის მიწოდების გრაფიკზე რას იტყვით?

ჩვენ ისევე მოგვეწოდება ელექტროენერჯია, როგორც სხვა დანარჩენ სოფლებს, საგარეჯოს. სოფელში მთლიანად მოხდა მოსახლეობის გამრიცხველიანება და დღეს აქ 476 ელექტრომომრიცხველია. ასევე, ბუნებრივი აირით სარგებლობს 466 აბონენტი.



ნინოწმინდის საჯარო სკოლა



ნინოწმინდის საბავშვო ბაგა-ბაღი

## პრობლემების სამომავლოდ მოგვარებისათვის



დასული წლის ივლისში ნინოწმინდაში ჩამოყალიბდა ქალთა საინიციატივო ჯგუფი, რომელშიც 10 ქალი გაერთიანდა. ჯგუფის ხელმძღვანელია ნინოწმინდელი ელინა სამხთიაშვილი – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის თანამშრომელი. საინიციატივო ჯგუფმა მიზნად დაისახა სოფელში არსებული პრობლემების შესწავლა, გაანალიზება და შემდგომში მისი

როგორც სოფლის პრიორიტეტული საკითხების მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის წინაშე დაყენება. საინიციატივო ჯგუფმა მართლაც ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლა ის პრობლემები, რაც ათეული წლებია სოფლის მოსახლეობის საერთო პრობლემად იყო ქცეული, მათგან ის საკითხები წარმოაჩინა, რომლებიც დღის წესრიგის პირველ საკითხად მიიჩნეეს და გვიან შემოდგომაზე, ნოემბრის მიწურულს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში მუნიციპალიტეტის სხვა სოფლების ქალთა საინიციატივო ჯგუფთან ერთად მათ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას გააცნეს, დაასაბუთეს საჭირო ფორმასა და აქვე წარუდგინეს ის ხარჯები, რაც ამ საკითხების მოსაგვარებლად არის საჭირო. სწორედ ამ პრობლემებზე გვესაუბრება დღეს ქალთა საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი ელენე სამხთიაშვილი:

სოფელში პრობლემებს რა ჩამოთვლის, მით უმეტეს ისეთ სოფელში, სადაც წმინდა ნინოს მონასტრია და შესაბამისად ტურისტების დაინტერესებაც დიდია. ამიტომ, სოფელი ყველანაირად კეთილმოწყობილი უნდა იყოს, მაგრამ ამ ეტაპზე ჩვენ იმ ელემენტარული პირობების შექმნას ვითხოვთ, რომელიც ყოველგვარი მიზეზების გარეშე მოგვარებული უნდა იყოს.

დაიწყო იმით, რომ სარეაბილიტაციო და ინვესტიციური ალსაჭურვი ნინოწმინდის საბავშვო ბაგა-ბაღი. მართალია უკანასკნელ ერთ

წელიწადში აქ „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით და ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა, მაგრამ ამ დაწესებულებაში 30 წელიწადია არ ჩატარებულა სარეაბილიტაციო სამუშაოები, რის გამოც ამოტრიალებულია კარ-ფანჯარა, დაზიანებულია იატაკი, თითქმის აღარ არსებობს ბეტონის საფარი სამზარეულოში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მძიმე ინფექციური დაავადებები, შესარეაბილიტებელია 4 ოთახი, სადაც ინვენტარიც აღარ არის. პედაგოგ-აღმზრდელებს წლებია სკამები, სამუშაო მაგიდები არ აქვთ, ასევე არ არის საბავშვო სკამები. აქ 85 ბავშვია, თუმცა კონტინენტი საბავშვო ბაღის 120-ზე მეტია, მაგრამ ზოგიერთი მშობელი არჩევს სოფლის ქალაქის საბავშვო ბაღში მიყვანას, ან საერთოდ არ მიჰყავთ სკოლაზე დაწესებულებაში. ბოლო დროს კი, მოგესხნებათ, რა დიდი ამოცანებია ასეთ დაწესებულებაში ბავშვების სასკოლოდ მომზადებისთვის. ჩვენ გამოვიანგარიშეთ და მიახლოებით საამისოდ საჯარო უფლოდ, 20 ათასი ლარის საჭირო ბაგა-ბაღის პრობლემების მოსაგვარებლად.

მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს სოფლის დანაგვიანება, სოფელსა და მის შემოგარენში გაჩენილი სტიქიური ნაგავსაყრდენები. ეს კი ანტიანტიკობას იწვევს – ჩნდება მღრღნელები, ქვეწარმავლები, ავადდება პირუტყვი, მოგესხნებათ მღრღნელები ინფექციური დაავადებების გადატანები არიან. ამის მიზეზი

კი უპირველესად მოსახლეობის გულგრილობაა, ასევე არ არსებობს საკმარის რაოდენობის ნაგვის ურნები. წლების განმავლობაში სტიქიური ნაგავსაყრდენები გაჩნდა გ.წ. ზეთსახელ საწარმოსთან და რესპუბლიკური მნიშვნელობის ავტომაგისტრალის მარჯვენა მხარეს არსებულ ხეში. ჩვენს მიერ შესწავლილი პრობლემების მოგვარება შესაძლებელია შემდეგი გზებით: სოფელში არსებული ორი (№34 და №28 ქუჩები) ნაგავსაყრდენიდან გატანულ უნდა იქნას ნაგავი, მოსწორდეს ტერიტორია, რათა მომავალში აქ არ დაიყაროს ნაგავი, მაგრამ არსებობს რისკ-ფაქტორიც – აქ ნაგვის გატანის შემდეგ დარჩება ქიმიური ნარჩენები, რომლებიც „საქსაეთობის“ მიერ უნდა იქნას გატანილი. აღნიშნული სამუშაოების ჩატარებლად ჩვენი გამოთვლებით სულ 600 ლარია საჭირო. ამასთან, სოფელში არსებულ ნაგვის ურნებს უნდა დაემატოს კიდევ რამდენიმე.

სოფელს არ აქვს გარეგანაბრება. რესპუბლიკური მნიშვნელობის ავტომაგისტრალისა და მონასტრისთან მისასვლელი გზაზე (სადაც განლაგებულია საბავშვო ბაგა-ბაღი და საჯარო სკოლა) აღნიშნულ ქუჩაზე არსებული პრობლემების ჩვენი საინიციატივო ჯგუფის მიერ შესწავლის შემდეგ, ჩვენ ვნახეთ, რომ აქ სულ 15 ლამპიონია საჭირო, ასევე, საჭიროა 900 მეტრი სიგრძის ელექტროსადენები, 15 ე.წ. „კორონა“ – და ამას თუ ერთ თვეში დახარჯული ელექტროენერჯის ღირებულება (აქედან მოხმარებული ელექტროენერჯის ღირებულება 600 ლარია). სასიხარულოა, რომ 2014 წელს ჩვენთან ორი დიდი პრობლემა მოგვარდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით, ერთი კი „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით.



„კეი, ვინ მოდის, მანდ, მომავლიდან?!”

# წარჩინებული სწავლისათვის დასასურებლად მიღებული ჯილდოები



საგარეო უნივერსიტეტის გამგეობის ახალგაზრდულ ცენტრში საგარეო უნივერსიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების 2013 წლის წარჩინებულ კურსდამთავრებულებს ოქროსა და ვერცხლის მედლები გადაეცათ. ამ ღირსშესანიშნავი და ლამაზი ცერემონიის მოწვევები იყვნენ სკოლების დირექტორები, მასწავლებლები, თანაკლასელები, მშობლები. **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგარეო რესურს-ცენტრის დირექტორმა მანანა ცხციტიანი** კიდევ ერთხელ მიულოცა მათ თავდაუზოგავი შრომით დამსახურებულად მიღებული ჯილდოები და წარმატებები უსურვებდა იმ უმადლეს სასწავლებლებში, სადაც მათ წარმატებით ჩააბარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები და მათგან უმრავლესობამ სახელმწიფო გრანტიც კი მოიპოვა.

საჯარო სკოლის საშუალო საფეხურის წარჩინებულ კურსდამთავრებულებს მიესალმა **საქართველოს პარლამენტის წევრი, საგარეო უნივერსიტეტიდან მაგისტრის დეპუტატი თინათინ ხილაშვილი**. მან აღნიშნა, რომ თითოეულმა მათგანმა უნდა ისარგებლოს იმ შესაძლებლობებით, რასაც ქვეყნის მთავრობა და ხელისუფლება დღეს ახალგაზრდობას უქმნის ცხოვრების სწორი გზის არჩევას, მათ შეუძლიათ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება, ნებისმიერი არჩევანის გაკეთება, ოღონდ აქ მთავარია მიზანმიმართული შრომა, აკეთონ ის, რისკენ სწრაფვინას, გადაწყვეტილების მიღებისას გული და გონება ერთმანეთს დაემთხვევა. „როცა აკეთებ იმ საქმეს, რომელიც ბედნიერ-




გაბედულად მიისწრაფით წარმატებული ადამიანის იმიჯის შექმნედა. იცოდეთ, რომ დღეს წარმატებული ადამიანები უფრო მეტ წარმატებებს ველოდებით თქვენგან. მედალოსნებს ოქროსა და ვერცხლის მედლები **საქართველოს პარლამენტის წევრმა თინათინ ხილაშვილმა** გადასცა. მედალოსნებმა მადლობა მოუხადეს მშობლიური სკოლების პედაგოგებს, საგარეო რესურს-ცენტრის ხელმძღვანელობას, საქართველოს პარლამენტის წევრს, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას იმ ყურადღებისა და თანადგომისათვის, რაც მათ გამოიჩინეს უნივერსიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების კურსდამთავრებულთა და საერთოდ, მუ-



ნიციპალიტეტის ახალგაზრდობის მიმართ. დასასრულ, მათ სამსახურო სურათებიც გადაიღეს და ინტერვიუსთვისაც მოიცადეს.

**ინოვაციური პროექტი – კაპაბუთის საჯარო სკოლის კურსდამთავრებული, ოქროს მედალოსანი, ანაბეგო თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების პირველკურსელი:**

– ძალიან დიდი შრომაა საჯარო, რომ X-XI-XII კლასებში ისწავლო ისე, რომ ყველა საგანში 10 ქულა გქონდეს, რომელიც შემდეგ ოქროს მედლის კანდიდატს გხდის. ეს არის უძილო, წინგებზე დათენებული დამეგობი, მუდამ ძიებაში ყოფნა, მაგრამ საბაგიეროდ, ყველა შრომისმოყვარეობას, უმკლავდები ყოველგვარ სისუსტეს, ხდები ძლიერი, მიზანმიმართული, ყოველდღე გრძობ, რომ ნელ-ნელა წარმატებისკენ მიდიხარ. კარგად სწავლამ, ნებისყოფის გამოქვეყნებამ შედეგში მომიცა – მე დღეს სტუდენტი ვარ და თანაც ჩემი სწავლის თანხის 70%-ს სახელმწიფო იხდის. ეს არ არის პატარა თანხა, ეს არ არის პატარა ამბავი, ახლა მიხდება სურვილი – მეტი გავაქოთ, მეტი შესაძლებლობები გამოვაყვინო ჩემში და გავხდე წარმატებული სტუდენტი, რომელიც შემდეგ სხვა წარმატებებისკენ მიბიძგებს. ყოველთვის მასსოვს ჩემი კლასის დამრიგებლის,



მათემატიკის მასწავლებლის ნანა პავლიაშვილის დარიგებები, რომლებიც ყოველგვარი დაბრკოლების გადალახვისას მეხმარება.

**ნატო ონაშვილი**  
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი:

– დღეს, 2014 წლის 14 იანვარს საგარეო უნივერსიტეტის ახალგაზრდული ცენტრის დარბაზში 2013 წელს სკოლადასრულებული, წარმატებული მასწავლებლები (ახალგაზრდები) ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოვდნენ.



ბავშვებმა და მათ შორის მეც, რომლებიც დღეს ამ დარბაზში ვართ, გასულ წელს საკმაოდ დიდი და მრავალფეროვანი გზა გავიარეთ, მრავალი სიახლით სავსე გზა. ჯერ აბიტურიენტობა, სწავლა და ცოტა „წუწუნები“ (დარწმუნებული ვარ ყველა ჩვენგანი მეტ-ნაკლებად წუწუნებდა), შემდეგ გამოცდები და მათი შედეგები. დამეთანხმებით, ამ პერიოდში ყველა ჩვენგანმა ბევრი ინერვიულა. მაგრამ მას სასურველ უნივერსიტეტში, სასურველ ფაკულტეტზე ჩარიცხვისა და გრანტის მოპოვების სიხარული მოჰყვა. აღსანიშნავია, რომ საგარეო უნივერსიტეტის თითქმის 100-მა პროცენტმა შეძლო გრანტის მოპოვება.

ამ ყველაფრის შემდეგ კი ჩვენ მოვხვდით აბსოლუტურად უცნობ, ახალ, განსხვავებულ გარემოში – უნივერსიტეტში. თუმცა, დამეთანხმებით, მიუხედავად თავდაპირველი ქოსისა, საოცრად ტკბილი და სასიამოვნო საკუთარი თავის სტუდენტად შევცნობა.

მოკლედ, დღემდე, 14 იანვარამდე საკმაოდ დიდი გზა გავიარეთ. დიდი არა, იმდენად დროის თვალსაზრისით, არამედ ემოციურად დატვირთულობის გამო. პირველი სემესტრი, პირველი გამოცდები და ა.შ. დარწმუნებული ვარ, მედლის მიღება თითოეულ მედალოსანსა და მისი ოჯახისათვის უდიდესი სიხარულია. გულწრფელად რომ ვთხოვრებ, ეს ჩემი თვითმზანი არასოდეს ყოფილა. უბრალოდ, ღვთის წყალობით, თავისთავად მოხდა. ცხადია, მადლიერი ვარ და მიხარია. ამ დონის მიხედვით კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ჩვენს პატარა უნივერსიტეტში ამდენი ნიჭიერი ახალგაზრდაა.

ამასთან, აუცილებლად უნდა ვუთხრა მადლობა ჩემს მე-2 საჯარო სკოლას, თითოეულ მასწავლებელსა და მასწავლებს, ჩემს უპირფასვე კლასელებსაც. ასევე, აღნიშნავ, რომ მიუხედავად ჩემი ახალი, უნივერსიტეტული მეგობრების დიდი სიყვარულისა, სკოლის გარემოც ძალიან მენატრება. პირველ კურსში კი, მადლობა უფალს, რადგან „რაცა დემოსა არა სწადის, არა საქმე არ იქნების“.

ვიდრე დავამთავრებ ჩემი ემოციების გამოთქმას, ჩემი მოკრძალებული, სუბიექტურ აზრს შემოვთავაზებთ, განსაკუთრებით კი მე-12 კლასელებს. აბიტურიენტობა განსაკუთრებული პერიოდია. ხანდახან გვერდით, რომ საწუწუნოდა საქმე, მაგრამ, ვფიქრობ, უკეთესი იქნება, თუ მივხვდებით, რომ ყოველ წუთს, ყოველ გაკვეთილზე შეგვიძლია სიხარული მოვიანოთ საკუთარ თავსაც და გარშემოყოფოთაც. რაც მთავარია, ამ დროს საკუთარი მოღვაწეობით მიღწეული შედეგი – სტუდენტობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტია ადამიანის ცხოვრებაში.

სულ ბოლოს, კიდევ ერთხელ მიველოცავ ჩვენს ძვირფას მედალოსნებს ამ მნიშვნელოვანი ჯილდოს მიღებას. ღვთის წყალობასა და წარმატებებს გუსურვებ მთელი ცხოვრების მანძილზე.

# „ეტალონის“ გამარჯვებული წინ კვლავ შესაძლებლობათა გამოცდა ელის



ერა-კითხვა შეუმჩნევლად ისწავლა. გონიერი, ადლიანი იყო სულ ერთი ცილიც კი. ადრე, ძალიან ადრე დაიბოლოდა, დედა იყო მისთვის ყველაფერი და ისიც იცოდა, დედისთვის რომ ის იყო ერთადერთი. ჩუმი, მოკრძალებით მიჰყვებოდა დედას საბავშვო ბაღში და თან წინა სადამოს მოსმენილი ზღაპრები მიჰქონდა ჯგუფულბთან. დაჯდებოდა დარბაზსურად პატარა სკამზე თვითონაც პატარა და მოჰყვებოდა და რას მოჰყვებოდა... მოსმენილ ზღაპრებს

წიგნებსა და ჟურნალებში ეძებდნენ მშობლები – ჯგუფულების დაქინებული მოთხოვნით, მაგრამ... ყველა დარწმუნდა, რომ ილია დედის შეთხზულ-მონაყოლ ზღაპრებს აღამაზებდა, ლამაზ ფერებს აძლევდა. ხან დედას სტუმრობდა საგარეო უნივერსიტეტში და უამრავი წიგნების თაროებს ინტერესით შეჰყურებდა – აინტერესებდა, რას იტყვავა წიგნები, თაროები... ამიტომაც ისწავლა კითხვა. მხოლოდ ერთი ასო „ტ“ ვერ ამოიცნო, ვერ მიუხვდა საიდუმლო და დედას პკითხა... საბავშვო ბაღის ადსაზრდელი გამართულად კითხულობდა – დედას აღარც აწუხებდა. შაბათ-კვირას ეკლესიაში დადიოდნენ დედა-შვილი.

ნელ-ნელა გაიზარდა ილია. სკოლაში შევიდა. თავისი მოკრძალებით უფრო იპყრობდა მასწავლებლების, თანატოლების ყურადღებას. იჯდა მერხზე ჩუმი და მასწავლებლების შეკითხვებს გონიერულ, გააზრებულ პასუხებს აძლევდა. ახლაც ასეა. ილია კურდღელაშვილი საგარეო უნივერსიტეტის I საჯარო სკოლის მეთაურკლასელია. ერთი ჯილდო ცხრა კლასის ათიანებზე დასრულებული მისილი – დეპუტატი, მეორეც გასულ წელს – ისტორიის კონფერენციაში მეორე ადგილის დაკავებისთვის – 700 ლარი.

ახლანახან, 12 იანვარს სოციალურ-საგანმანათ-

ლებლო მედია-პროექტ „ეტალონი“ გამარჯვება იხვიდა ილიამ. ამ კონკურსში საგარეო უნივერსიტეტის საჯარო სკოლების უფროსკლასელები იღებდნენ მონაწილეობას. კონკურსის წამყვანმა გონა ტყეშელაშვილმა ილია წინა წლის კონკურსიდან იცნო. მაშინ ილიას სულ ნახევარი წამით აჯობა თანატოლმა...

კონკურსში წარმოდგენილი კითხვები ყველა საგნიდან იყო. იყო ასევე, ცნობილ პიროვნებათა გამონათქვამები.

– მიხდა ვითხრათ, რომ ძალიან ძლიერი თანატოლები იყვნენ ამ კონკურსში. ბოლოს სამი დავრჩით, ჩემთან ერთად საგარეო უნივერსიტეტის II სკოლაში თინიკო ჭაჭუკაშვილი და მანაველი ნინო ბორაშვილი იყვნენ. სწორედ წამის მასწავლებელი ვაჟიბე ნინოს, – მეუბნება ილია, – როგორ მივედი ფინალში, ვერ ვეტყვით. ეს იყო აზარტი, თავის გამოცდა. თავდაჯერებულობა მემატებოდა, როცა პასუხებს ზუსტად ვცემდი კითხვებს. ძალიან გახარებული ვიყავი, როცა დარბაზში ჩვენი უნივერსიტეტის ხელმძღვანელები გიორგი ლოლაძე და ბესიკ მარტიაშვილი იმყოფებოდნენ. როგორც კონკურსის გამარჯვებულს ისრაელის საელჩოს მიერ დაწესებული საჩუქრის – დეპუტატი ვადმოძენეს, მაგრამ ჩემთვის ბ-ნი ბესიკ მარტიაშვილის ხელით გადმოცემული დიპლომი

უფრო სასიხარულო და საამაყო იყო.

ილიას სამომავლო გეგმები ნათელი და მკაფიო აქვს. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, მას არტიტექტობა აქვს პროფესიად არჩეული. საგარეო უნივერსიტეტის კლასის დამრიგებელი მარინა შაქარაშვილი, ისტორიის მასწავლებელი – მარინა გულისაშვილი და ყველა მასწავლებელი, ამიტომ მეტი გამარჯვებებისკენ ისწრაფვის. მართლაც, წინ ძაღლების გამოცდის დიდი შესაძლებლობა და ასპარეზია.

წარმატებებს გისურვებთ, ილია!

გვერდი მოამზადა თინა ილაშვილი



# მისი ფსევდი საბარჯოლანაა მთარბმელი,



მს ნაზი, მაგრამ ცოცხალი, ხალი-სიანი ქალბატონი ნინო მჭედლიშვილია – მთარბმელი, პუბლიცისტი და პედაგოგი. ქნი ნინოს მამა-პაპეული სახელი აქ, საგარეჯოში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზეა, კოპწია, ერთ დროს დიდი ოჯახის შემფარებელი, შემდეგ კი თბილისიდან მომავალი, ზაფხულობით აქ დაზრდილ-დაფრთიანებული მჭედლიშვილების მომლოდინე. დღეს შეძლებისდაგვარად ჩამოდის ნინო, ძალიან უყვარს აქაურობა, უფლის, ეფერება, ესათუება ბავშვობის მოვლებზე, გაჯერებულ ეზო-გარემოს. შეძლებისდაგვარად, ვთქვით, რადგან ნინო ყოველთვის დაკავებულია, თუნდაც სამსახურში – თბილისის ეკონომიკის ინსტიტუტში არ

იყოს, სადაც ქართული პედაგოგიკის ისტორიისა და გერმანული ენის ლექციებს კითხულობს. ნინო ფილოლოგია, გერმანული ენის სპეციალისტი. პარალელურად თარგმნის ლექსებს. რატომ, ლექსებსო?! – იკითხავთ. ამავე კითხვაზე თავად ნინომ გვიპასუხა: – მთარბმელობით სფეროში პოეზია „დაზარული“ დარგია – ძნელია თარგმნო პოეზია, ლექსის თარგმნის დიდი რუდუნებით, სიფრთხილით უნდა მოეპყრო. აქ არ შეიძლება „შენეული რაღაცის“ შეტანა, ის კი არა, თითოეულ მძიმეს, თითოეულ წერტილს თავისი დანიშნულება და ფუნქცია აქვს ლექსში. დამეთანხმებით, რომ გალექციონის, ტიცციანის, მირზა გელოვანის, ლადო ასათიანის ლექსების თარგმნა ძნელი და საპასუხისმგებლოა. ისინი უკვე გაიცნო მსოფლიომ, მაგრამ ჩემი დიდი სურვილია, ვთარგმნო იმ პოეტების ლექსები, რომლებსაც ჯერ-ჯერობით ქართველების მეტი ვერაინიცნობს. რატომ არ შეიძლება შეიგონონ გერმანელებმა, რუსებმა, უკრაინელებმა, ფრანგებმა (რომელ ენებზეც მე ვთარგმნი) თუნდაც ჩვენი თანამემამულის რომან ზუკაკიშვილის ლექსების სურნელი? რომან ზუკაკიშვილისა და ოთარ ურუშაძის მშვენიერი ლექსების თარგმანი მალე შევა კანადასა და საფრანგეთში გამოცემულ ანთოლოგიაში, ასევე შევა ახალი პაპინაშვილისა და თემურ ჩალაბაშვილის ლექსები.

მინდა გითხრათ, რომ თემურ ჩალაბაშვილის ლექსები იმდენად ეროვნულია, ძალიან

# პუბლიცისტი,

დიდი სიფრთხილე მჭირდება. ერთადერთი, რისი გაბეღვაც შეეძლება, ისაა, რომ თემურის ერთ-ერთ ლექსს ვაუ-ფშაველას ეპიგრაფი შევაპარე. რომანის ყველა ლექსი მომწონს. მათგან 27 ლექსი უკვე ვთარგმნე გერმანულ ენაზე. ვფიქრობ, მათ კიდევ რამდენიმე დამატება. ძალიან მიხარია, როცა რომანის ლექსების ახალ-ახალი კრებული გამოდის. საჭიროა ქართული ეროვნული გრძობით გაუდენთილი ლექსები მიეწოდოს დღეს ქართველ მკითხველს და ასევე, საქართველოსთვის, ქართველი ერისთვის მომგებიანია ეს ლექსები მთარბმელებმა ვთარგმნოთ სხვადასხვა ენებზე, მივაწოდოთ მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებს ჩვენი კულტურა, ჩვენი ისტორია ამ სახით, რათა წარმოადგინა შეეძლოთ ვინ ვართ და რამდენ ათასწლიანი ისტორია გვაქვს ქართველებს. მე პირადად, დიდ სიამოვნებას მანიჭებს თარგმნის პროცესი, რადგან აქ არის ძიების, კვლევის, რაღაც ისეთის ძიების და პოვნის, რომელიც ზუსტად ესადაგება პოეტის ნათქვამს. მე არ მაქვს უფლება

ლექსიდან რაიმე ამოვავლო, შემიძლია მხოლოდ რაღაც ნიუანსის ჩამატება, უფრო სწორად, დეტალიზაციის გაკეთებას ვცდილობ ხოლმე რითმაში. დამეთანხმებით, რომ პოეზიის თარგმნას ერთობ გაურბიან მთარბმელები. პროზა ადვილია, მას არავითარი ისეთი, განსაკუთრებული ფიქრი და ძიება არ სჭირდება, მაგრამ მე მიყვარს სირთულეები, ამიტომ ვარ და ვაკეთებ იმ საქმეს, სადაც სირთულეებია“.

ნინო დღეს პოეზიის თარგმნის თეორიაზე მუშაობს, რომელიც არც თუ ისე მარტივად შესასწავლი და ჩამოსაყალიბე

# პედაგოგი

ბელია. წარმატებებს გისურვებთ და გილოცავთ „ნინობას“, რომელსაც აქ, ჩვენთან სხვა დატვირთვა აქვს და სულ განსხვავებული სიხარულით აღნიშნავს საგარეჯოს რაიონი, რომლის გულშემატკივარიც თქვენი მთელი თქვენი არსებით ხართ.

P.S. ნინო მჭედლიშვილი რამდენიმე წლის წინ საგარეჯოს შრომის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე იყო, რომელსაც საინტერესო სამუშაო ეშლებოდა წინ, მაგრამ, რადგან ირად ვერ შედგა აქ ამ სამუშაოს ნორმალურ ფარგლებში წარმართვა, თუმცა ეს კავშირი წარამტებით მოქმედებს გურჯაანსა და თელავში. ახლა ნინო შრომის ვეტერანთა და დაუსაქმებელთა სპეციალისტია საქველმოქმედო კავშირ „ქომაგოში“ (თბილისში).

თინა ილაშრო

ერთ წელზე მეტია, საგარეჯოში წარმატებით ფუნქციონირებს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი. აქ ამ ხნის განმავლობაში ერთმანეთს ხელდახმობენ საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები და მოქალაქეები, ეწყობოდა საინტერესო ღონისძიებები. სწორედ ამ შეხვედრებზე გვესაუბრება დღეს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის დირექტორი მთიი სიბაშვილი:

# დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი

# დარბაზი

# აქტიურ მოქალაქეებს

# ელის

„დემოკრატიული მმართველობა საქართველოში პროგრამის“ საგარეჯოს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი ფუნქციონირებს 2012 წლის სექტემბრიდან. პროექტი დაფინანსებულია აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ და მის ფარგლებში ათი ასეთი ცენტრი მუშაობს ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურებას. ეს არის ნეიტრალური უფასო სივრცე საჯარო შეხვედრებისთვის. ის ხელმისაწვდომია სამოქალაქო ორგანიზაციების, მთავრობის, პოლიტიკური პარტიების, მოქალაქეებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის, როგორც მუდმივი თავშესაფრის ადგილი, ადგილი დიალოგისთვის. გახსნის დღიდან დღემდე ცენტრმა უმასპინძლა 287 ღონისძიებას, რომლებსაც ესწრებოდა 5786 ადამიანი, ხოლო ცენტრში არსებული კომპიუტერული ქსელით და ბიბლიოთეკით ისარგებლა 6100-ზე მეტმა მოქალაქემ.

ბი საზოგადოებასთან კონსულტაციების საფუძველზე შეირჩევა. 2013 წლის ზაფხულში დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ბაზაზე შეიქმნა ქალთა კლუბები, რომელთა მიზანს წარმოადგენს ქალების გააქტიურება ადგილობრივ დონეზე, რათა ისინი ჩაერთონ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, იმუშაონ გენდერის საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე და შეამცირონ გენდერული დისბალანსი. საგარეჯოს ქალთა კლუბის წევრებმა ნოემბერში მონაწილეობა მიიღეს თბილისში გამართულ ღონისძიებაში, სადაც ისინი შეხვედრენ დანარჩენი ცხრა ცენტრიდან ჩამოსულ თავიანთ კოლეგებს. ორდღიანი შეხვედრა დატვირთული იყო თემატური სემინარებით ადგილობრივი თვითმმართველობის, გენდერის, ადვოკატირების, სტრატეგიული დაგეგმარების საკითხებზე. ღონისძიების მიმდინარეობისას ქალთა კლუბების წარმომადგენლებმა გააკეთეს პრეზენტაციები, სადაც აღწერილი იყო გენდერული პრობლემები ადგილობრივ დონეზე. ამის გარდა, პრეზენტაციებში წარმოდგენილი იყო თითოეული

კლუბის მიერ განხორციელებული აქტივობები, კლუბის სამომავლო გეგმები და მათ მიერ მიღწეული წარმატებები. კონფერენცია გახსნა საქართველოს იუსტიციის მინისტრმა ქალბატონმა თეა წულუკიანმა. მისი განცხადებით, ეს შეხვედრა მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო და მას აქვს სურვილი უფრო მეტი შეიტყოს აღნიშნული კლუბების შესახებ. წულუკიანის თქმით, ეს შეხვედრა მნიშვნელოვანია ქალთა მეტი მონაწილეობისთვის ქვეყნის მართვასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. „ჩვენ თითქოს მოვახერხეთ ის, რომ თბილისში, ცენტრალურ დონეზე უფრო მეტი ქალი იყოს ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში, თუ ქვეყნის მართვას, თუმცა მე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს ჩართულობა, თუნდაც ცენტრალურ დონეზე არ არის საკმარისი“ - განაცხადა მინისტრმა. ქალბატონი თეა ქალთა კლუბის წევრებს დააბრდა ხელშეწყობას, რომლის კონკრეტულ ფორმებზე შეთანხმდებიან იუსტიციის სამინისტრო და USAID/დემოკრატიული მმართველობა საქართველოში პროგრამა. ეს შეიძლება იყოს მინისტრის ან სამინისტროს წარმომადგენლების რეგიონებში გახველა, შეხვედრების ჩატარება რეგიონებში და ა.შ.

ექსპერტი წარსდგა ქალთა კლუბების წინაშე თემატური ლექცია-პრეზენტაციებით. მათ შორის იყვნენ ნანა სუმბაძე, საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი (IPS), თონა ყუფუნია, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI), თამარ კობერიძე, საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში (G-PAC), ალექსანდრე სვანიშვილი, რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერის პროექტი (UNDP), ლევან ავალიშვილი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), ტარიელ ზივზივაძე, ARNET Associates.

ღონისძიება დასრულდა ღონისძიება სეხით, რომლის ფარგლებში მონაწილეებს საშუალება მიეცათ უშუალოდ გაცნობოდნენ საქართველოში ქალთა საკითხებზე მომუშავე ღონის ორგანიზაციებს და მათგან მიეღოთ ინფორმაცია და ფინანსების კრიტიკუიმებსა და პროცედურებზე.

ღონისძიება სესიაზე წარმოდგენილი იყვნენ შემდეგი ორგანიზაციები: ქალთა ფონდი საქართველოში (ჭომენ უნდ ინ ეორგია), ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“ (OSGF), ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი (urasia Partnership Foundation), საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES).

ორდღიანი შეხვედრის შემდეგ ქალთა კლუბების წევრებმა ათივე ქალაქიდან გამოთქვეს მზა ყოფნა მიღებული ცოდნა და უნარები გამოიყენონ და აქტიურად ჩაერთონ მათ თემებში არსებული პრობლემების გამოვლენასა და მოგვარებაში.

დღეს დიდი ყურადღება აქცევა გენდერული დისბალანსის აღმოფხვრას, ამიტომ საგარეჯოელ ქალებს ვთხოვთ უფრო აქტიურად ჩაერთონ მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებში და ითანამშრომლონ ქალთა კლუბთან.

დარბაზი გელით!





მართლმადიდებლობა

ნათლისღება (19 იანვარი)  
(იმაჟღეპა უმეოკლეპით)

მართლმადიდებლობა

ნათლისღების დღესასწაულთან დაკავშირებით, წმინდა ეკლესია წელის კურთხევის აღასრულებს, რასაც დიდი აიაზმა, დიდი წყლის კურთხევა ეწოდება.

უფალი ნათლისღებას, ნათლობას უწოდებს სულიერ შობას და ბრძანებს: რომელი არა იშვას წყლითა და სულით, მას ვერ ხელეწიფებს სასუფეველისა დვითისა, ანუ ნათლობას მკვირა სულიერი შობა, რომელიც აღესრულება წყლითა და სულით, სულიწმინდის მადლით, ამდენად წყალს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. თავად უფალმა წყალში შთაფვლით იხება ნათლისღება. ნათლობის დროს წყალში შთაფვლით მაცხოვარმა მთელი სამყაროს წყლები აკურთხა, წყლის ბუნება შეცვალა, ამიტომაც აღესრულება ნათლისღების დღესასწაულზე წყლის კურთხევა, წყალკურთხევის საიდუმლო.

ნათლობის დროს ხდება ცოდვთა პატიება – ადამიანს მიუტევენ ნათლისღებამდე ქმნილი ცოდვები, ასევე პირველქმნილი, ადამისაგან შემკვიდრებით მიღებული ცოდვა.

ნათლობის დროს ხდება ჯვარცმად, როდესაც

ადამიანი ინათლება, ის ემსგავსება ჯვარცმად გამზადებულ იესო ქრისტეს. ნათლისღების დროს ემზადება წარმოდგენს ქრისტეს საფლავს, წყალში სამგზის შთაფვლა განასახიერებს ქრისტეს სიკვდილს და სამ დღეს საფლავში დაფვლას, – ქრისტე სამი დღე იყო დაფლული საფლავში და მესამე დღეს აღდგა. წყლიდან ამოსული ადამიანი ემსგავსება იესო ქრისტეს, ამიტომაც ნათლობა არის მიმსგავსება ჯვარცმისა.

დიდი აიაზმა აღესრულება მხოლოდ ერთხელ, ნათლისღების დღესასწაულზე, ნიშნად ნათლისღების დროს მაცხოვრის იორდანეში შთაფვლისა და უფლისგან წყლის კურთხევისა. მცირე აიაზმა ნებისმიერ დროს შეიძლება აღესრულოს. დიდი აიაზის კურთხევის დროს ლოცვებიც განსხვავებული იკითხება და განსაკუთრებულ სიწმინდეს წარმოადგენს, იგი მთელი წლის განმავლობაში ინახება და როგორც

უდიდეს სიწმინდეს, ისე იხმევენ ადამიანები, – განსაკუთრებულ შემთხვევაში, სულიერი და ფიზიკური სნეულების ვამს. დიდი აიაზის აღსრულების დროს ლოცვებიც წარმოითქმის, რომ ის იქცეს საკურნებლად სულისა და ხორცისა. მცირე აიაზმაც დიდი სიწმინდე, მისი მიღება ნებისმიერ დროს შეიძლება, – დიდი უზმოზე, საზრდელის მიღების წინ, ძილის წინ, აკურებენ სხვადასხვა ნივთებს... უზმოზე შეგვიძლია მივიღოთ დიდი აიაზიც.

ნაკურთხი წყალი ერთ-ერთი უდიდესი სასწაული მართლმადიდებლურ სამყაროში, იგი არ იხრწნება.

ნაკურთხი წყალს უდიდესი მოწიწებით უნდა მოვეცეთ. უდიდეს მოპყრობის შემთხვევაში გაიხრწნება. არ შეიძლება ბავით შევეხოთ ბოთლს, რომელშიც ნაკურთხი წყალია, ან თავდაუხურავი დაგვტოვოთ. ნაკურთხი წყლის გამრავლება შეიძლება ჩვეულებრივი წყლით.

მაცხოვარი პირდაპირ ამბობს, – ვინც არ იშვება წყლითა და სულით, მას ვერ ხელეწიფებს ხილვად სასუფეველისა დვითისა, ანუ წყალი არის სულიერი შობის ერთ-ერთი იარაღი, როგორც ხორციელი შობის იარაღი დედა და მამა, ასევე არის სულიერი შობის იარაღი – სული და წყალი, სულიერი შობა სულიწმინდით და წყლით ხდება. ეს პირდაპირ უფალმა დააწესა, უფალმა დაადგინა.

როდესაც ნათლისღების დღესასწაულზე იერუსალიმის პატრიარქი მდინარე იორდანეს აკურთხებს, მდინარე წამოვიდა ჩერება და აღმა იწყებს სვლას, – წყალი თავის ბუნებას ეწინააღმდეგება, ფიზიკურ კანონებს სცილდება და იწყებს აღმასვლას, შემდეგ კვლავ ჩვეულ დინებას განაგრძობს, ეს არის ხილული დასტური იმისა, რაც უხილავად ხდებოდა, უხილავად გვწამს. ნათლისღების მსახურების ლოცვებშიც წერია, – როდესაც წყალში შთამავალი დმერთი დაინახეს, წყლებიც კი შეძრწუნდნენ და იქცნენ მართლუკუნო.

საკითხს ახდენს სოფელი

მანავი – მოჭიდავთა სამჭედლო

სკორსკი

ბარჯული სპორტისა და ჭიდაობის ბუფი გულშემბრკივარი გაახარა „გარეჯის მაცნეს“ გასული წლის ბოლო ნომერში გამოქვეყნებულმა მუნიციპალიტეტის 2013 წლის საუკეთესო სპორტსმენთა ათეულმა, რომელთა შორისაც 2 მანაველი ფალავანი – ჭიდაობა სამბოში ჭაბუკთა შორის ერვენის საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, საბერძნეთის მსოფლიო პირველობის ვერცხლის პრიზორი ირაკლი კუპატაძე (№3) და ჭიდაობის ამავე სახეობაში საქართველოს ჩემპიონი, ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატის ვიცე ჩემპიონი ბექტერტრაშვილი (№6) იყვნენ დასახელებული. ამ მოჭიდავეთა გარდა, მანაველიდან არიან გარეჯული ჭიდაობის გულშემბრკივრებისათვის კარგად ცნობილი ფალავნები, სხვადასხვა სტილის მოჭიდავეები: გიორგი კუპატაძე, ოთარ კაციაშვილი, ზაქრო წიკლაური, თორნიკე პასიკაშვილი და სხვები. წარმოშობით მანაველიანაა წლის საუკეთესო სპორტსმენთა ათეულში დასახელებული საქართველოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის თავისუფალ ჭიდაობაში, საქართველოს ახალგაზრდობის პირველობის II პრიზორი გიორგი პასიკაშვილი. მათ გარდა მანაველი ქართულ სპორტს მისცა ისეთი სახელოვანი ფალავანი, როგორიც

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ჭიდაობა ძიუდოში, ყოფილი სსრკ-ს, საქართველოსა და ევროპის პირველობების გამარჯვებული და პრიზორი გურამ გოგოლაური. გასული საუკუნის 70-80-იან წლებში საგარეჯოს და ქართული ჭიდაობის ისტორიაში გარკვეული სიტყვა თქვეს მანაველი გახსნილი ჭიდაობის შემსწავლელი წრის (მწვრთნელი გელა ტაბატაძე) აღსაზრდელებმა ძმებმა მალხაზ და დათო სირბილაშვილებმა, ნოდარ და ოთარ მახარობლიშვილებმა, უშანგი და გელა კაციაშვილებმა. ნიკო თანგუაშვილი, გივი საფარაშვილი, ნიკო ზალდიაშვილი, უშანგი ოქრუაშვილი, ირაკლი და გიორგი კუპატაძეების მამამ პაატა კუპატაძემ, ნიკო მახარობლიშვილი, ალექსანდრე მირზაშვილი და სხვებმა. მანაველიანა რაიონის I ძიუდოსტი ქალი, იმავე ირაკლი და გიორგი კუპატაძეების მამიდა რუსუდან კუპატაძე, ხანდაზმულ საგარეჯოელ ფალავნებს კარგად ახსოვს მანაველი მოჭიდავეები გივი რუსიშვილი, ვახტანგ საბაშვილი, ვანო ბორაშვილის და სხვათა სახელები. დღეს მოქმედი თუ წარსულში ცნობილი მანაველი მოჭიდავეების ჩამოთვლა იმისათვის დამჭირდა, რომ ხაზი გაგვესვა

ჭიდაობის თუ რა მდიდარი ტრადიციები ამ სოფელში. ტრადიციები, იცოცხლეთ, საკმარისზე მეტიც აქვთ სპორტის ამ სახეობაში მანაველებს, მაგრამ ის კერა და ადგილი კი არ გააჩნიათ, სადაც მომავალი თაობები შეძლებენ დაეუფლონ და გააგრძელონ ეს ტრადიციები. მართალია საგარეჯო არც ისე შორსაა მანაველიდან, სადაც ახლაც დადიან საგარეჯოში მანაველი მოჭიდავეები, მაგრამ ყველას როდი აქვს ამისი საშუალება და ეს საქმე გარკვეულ რისკებთანაცაა დაკავშირებული. ამიტომ, ხომ არ აჯობებდა, რომ ახლა, როცა ასეთი ყურადღება ეთმობა მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარებას, სხვა სოფლების მსგავსად მანაველიც გახსნილიყო ჭიდაობის შემსწავლელი წრე ან სექცია, თუნდაც მანავეის საჯარო სკოლის სპორტულ დარბაზში, ისე, როგორც მიმდინარე წლისათვის იგეგმება საგარეჯოს III და თოხლიაურის საჯარო სკოლების სპორტულ დარბაზებში, კალათბურთისა და ძიუდოს შემსწავლელი წრეების ამოქმედება. აქ ნორმალური ვარჯიშების შედეგად მანაველი პატარებს კვლავაც შეეძლებათ გააღვივონ აქაური ფალავნების დანთებული კერა და ახალ-ახალი სასახელო ფურცლები ჩაწერონ გარეჯული თუ ქართული სპორტის ისტო-



რიაში. ესეც რომ არ იყოს, ყველამ კარგად ვიცით, თუ რა როლი ეკისრება სპორტს ფიზიკურად და მორალურად ჯანსაღი მომავალი თაობების აღზრდის საქმეში და ეს ახალი სპორტული კერაც სოფელში არსებულ სხვა სპორტულ ობიექტებთან ერთად უსათუოდ შეუწყობს ხელს ამ საშეილიშვილო და დიდმნიშვნელოვანი საქმის განხორციელებას.

მანაველთა დაფალებით  
გივი ლაბაჩიშვილი

აღნიშნული წერილი საგარეჯოს აიპ „სპორტბაშპროტინანბის“ დირექტორს ბიორბი (ბიბი) მაისურაძეს ბამაცანით. აი, რა ბმითხრა მან:

– იმდენად, რამდენადაც საგარეჯო, საერთოდ, გარეჯახეთი ჭიდაობის სამჭედლოა, მართლაც დიდა ჩვენი, სპორტსმენების დაინტერესება – თითოეულ სოფელში ფუნქციონირებდეს სპორტული სექცია, რომელიც თავისი პოპულარობით მნიშვნელოვან პროპაგანდას გაუწევს ჭიდაობას ახალგაზრდებში. თითოეული მოქმედი სპორტული დარბაზი ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ქუჩას გამოგვაცემთ უამრავ ახალგაზრდას, რომელმაც შესაძლებელია მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიოს შემდეგში.

ღიას, ვეთანხმები მანაველებს, რომ სოფელმა ახარეთი სახელოვანი სპორტსმენი აღუზარდა საქართველოს და დღესაც ღირსეულ სპორტსმენთა რიგებში დგანან მანაველი ახალგაზრდები. დიდა ჩვენი დაინტერესება, რომ სწორედ მანავესა და ხაშში და ასევე

სხვა სოფლებშიც ახალგაზრდები მიეჩვიონ ტატამზე გამოსვლას. ჩვენ შეგებელით და გასული წლის მონაცემებით, ჩვენი სპორტსმენების მიღწევებით საქართველოს პარლამენტის წევრის, ქალბატონ თინათინ ხიდაშელის მხარდაჭერით მოვიპოვეთ გრანტი, რომელმაც საშუალება მოგვცა მიმდინარე წლიდან დაგვეფინანსებინა მთელი რიგი სექციების მწვრთნელთა ხელფასები. ჩვენ ახალი წლის პირველი დღეებიდანვე შევუდექით ახალი გრანტის მოძიების გზებს, რომლითაც საშუალება მოგვეცემა არა მარტო მანავესა და ხაშში ჭიდაობის სექციების მწვრთნელთა ხელფასის დაფინანსებისა, არამედ დარბაზების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისაც.

რაც შეეხება კონკრეტულად მანავეში ჭიდაობის სექციის გახსნას, იქ მართლაც იყო საჭიდაო ლიბები, რომლებიც ჩვენ სამომავლო მუშაობაში გამოგვადგება, ოღონდ, გასაკრევივა, ლიბები დღეს ვისთან ინახება...

10 ხანძარი — დაუღვრობის შედეგი?!



ველს მეკელემ საგარეჯოს სახანძრო-სამაშველო სამსახურის მუშაკებს

„ცუდი ფეხი“ მოგვიტანა – ახალი წლიდან 14 იანვრის ჩათვლით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხანძრის 10 შემთხვევა გვექონდა, – განაცხადა ჩვენთან საუბარში სამსახურის უფროსმა ზამბარია ოტიაშვილმა. – თუმცა „მეკელეს“ ბრალი როდია იმაში, რომ ზოგიერთმა ადამიანმა დღემდე ვერ შეძლო ის, რომ ცეცხლთან მიმართებაში სიფრთხილე და შესაბამისი სახანძრო წესების დაცვა საჭირო. უყურადღებობას და მათ უგულებელყოფას კი მუდამ საფრთხე და ზიანი მოაქვს ყველასათვის. ასე იყო ამჯერადაც. ხანძრის ათივე შემთხვევა სწორედ რომ ადამიანების გაუფრთხილებლობას და დაუღვრობას მოჰყვა. ყველას, ვისაც კი სოფლის მეურნეობასთან რაიმე შეხება ჰქონია, კარგად იცის, რომ დასარეველიანებული ნაკვეთების გასუფთავება ყველაზე იოლი ქარიან ამინდში ცეცხლის

წაქიდეობაა, როცა ქარი ხელს უწყობს ხანძრის გაღვივებას. თუმცა, თუ წინასწარ არ იქნა დაცული ხანძრის უსაფრთხოების წესები, შემდგომში გამაძვირებელი სტიქიის დამორჩილება შეუძლებელი ხდება. ასე დაემართათ 10 და 11 იანვარს თოხლიაურელ და მანაველ მეკალაშვილებსა და ფოცხეგრაშვილებს. მათ მიერ წაქიდეებულმა ცეცხლმა დააზიანა 2,5 კა-მდე ვენახი და თუ არა სახანძრო-სამაშველო სამსახურის საქმეში ჩარევა, შესაძლოა ზარალი უფრო მეტი ყოფილიყო. ადამიანების დაუღვრობის შედეგად დაიწვა გულბანების 5 კა საძოვარი უდაბნოში, თუმცა შემთხვევის ადგილზე ჩასულ მეხანძრეებს ცეცხლი უკვე ჩამქრალი დახვდათ. სოფლის მოსახლეობას მათ მისვლამდე მოეხერხებინა და თავიანთი ძალებით ჩაქერო. სამაგიეროდ, მეხანძრეებს დიდი ჯაფა დაადგათ

მუხროვანის სასროლ პოლიგონზე ვილაციის დაუღვრობით გაჩენილი ხანძრის ჩაქრობაში, სადაც ძლიერი ქარი ხელს უწყობდა მის გაერცვლებას, თუმცა მეხანძრეების ჩარევით შესაძლებელი გახდა მისი დროული ლიკვიდირება.

ზაქარია ოტიაშვილის ცნობით, აღნიშნული ხანძრიდან ყველაზე ზარალიანი ზემო ბურდიანში მცხოვრები ბადრი ტაბატაძისათვის გამოდგა, რომელსაც ცეცხლმა 750 დაწნეხილი ბალახი და სათავსო გაუნადგურა.

– არ გვინდა მგლის თავზე სახარების კითხვასავით გამოგვივიდეს, მაგრამ კიდევ ერთხელ შევახსენებთ ადამიანებს, კარგად დაფიქრდნენ, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მათ ნამოქმედარს და ისე აიღონ ახანთი ხელში, – დასძინა სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფროსმა ჩვენთან გამომშვიდობებისას.

ბ. ლაბაჩიშვილი



### ვილოცვბა



დაბადების დღეს ვულოცავთ **გიორგიწმინდის ღვთისმშობლის შობის ეკლესიის მოძღვარს მამა ბიორბის (პაპლოშვილს).**

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ მამა გიორგი. მადლობას გიხდით იმ დალოცვებისა და თანადგომისათვის, რასაც თქვენ აკეთებთ და იხენთ ჩვენი სპორტსმენების მიმართ.

გვიყვარხართ და გვეიმედებთ!  
*საბარძკოს სპორტბაერთიანების თანამშრომლები და სპორტსმენები*

დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენს თანამშრომელს, **საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარ სპეციალისტს ბიბი ათაბაგაშვილს.**



ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიხარულს ღამაზ ოჯახთან ერთად და კვლავაც იმ გამარჯვებებს, რომელსაც იგი თავისი კაცურ-კაცობით, ადამიანური ღირსებებით ყოველთვის აღწევს.

ღმერთი იყოს შენი ოჯახის მფარველი.

*თანამშრომლები*

### ხურაღობა!

იყიდება კერძო სახლი 400 მ2 ნაკვეთით. მისამართი: საგარეჯო, ერეკლე II-ის (ყოფილი სტალინის) VI ჩიხი №3. დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 579-88-30-62. იკითხეთ თინა

### იაზუი მაჰარაშვილი

(სოფ. ნინოწმინდა)

## ვისი გორის ვარ?! ვარ?!

ვისი გორის ვარ, თუ იცით?!  
ვინც ვაზი მწკრივად ჩაყარა,  
ვინც ჩვენს მტერს დასცა თავზარი  
და გამარჯვება გვახარა

ვისი გორის ვარ, თუ იცით?!  
იმის, ვინც ხმალი გასჭვდა,  
ვინც მტერს ეკვეთა მახვილით  
ვის გულის ფეთქვაც გაჩერდა.

სამშობლოსათვის დავლურით  
მტერს რკინის შუბი აძგერა.  
მოჰყარა ჯარი არწივთა,  
გაჰფანტა ქორი და ძერა.

იმასა ჰქვია ქართველი,  
ვინც სამშობლოსთვის ეწამა,  
ვინც ვერ მოდრიკეს წამებით  
მტრის ჯავრი ვინც არ შეჭამა.

მკლავმაგარნი და ლომგულნი  
უწინ ვაჟკაცნი გვეოლია,  
მათ საქართველოს ხატება  
სამარეს თან ჩაჰყოლია.

გვეოლია მეფე თამარი,  
თვალტანადი და მწყაზარი,  
ქართველმან მისი გულისთვის,  
ნუქარდინს დასცეს თავს ზარი.

ოქროს ძაფებით ნაქარგი  
ფეხზე ჩააცვეს ქოშები.  
გელათის ტაძარს შესწირეს  
მათ ნუქარდინის დროშები.

16 წლისა გამეფდა  
ჩვენი პატარა კახია,  
მკვრივად ნაჭედი პერანგი  
კრწანისის ველზე გახია.

არ გაახარა მტარვალი  
ვახტანგმა – მფეუმ ლომგულმა,  
ვერ იბოგინა ჩვენს გვერდით  
მტერმა აჰმა და ორგულმა.

აი, ვის გორის ვეოფილვარ,  
ვინც საქართველო აშენა.  
სვეტიცხოვლისთვის უტამაც  
არ დაიზოგა მარჯვენა.

თავის სამშობლოს გულისთვის  
გიორგიმ შვილი გაწირა  
და მტერზე გამარჯვებული  
ხალხი თვის ცოდვით ატირა.

როგორ არ ვიყო ამაყი,  
ასეთი ხალხის მოდემის ვარ?!  
„ქართველო, ხელი ხმალს იკარ“,  
მიხარის, შენი გორის ვარ!

### ვაზს

ვაზო, ქართველის სიმდიდრე,  
ვაზო, დედა ხარ ღვინისა,  
ვაზო, შენს ღამაზ მტევნებზე  
ცვარი გაბრწყინდა დილისა.

ღვინოა შენი ცრემლები,  
მღეროდნენ მამა-პაპანი,

### ვალერი ბეჟიაშვილის მონატრება

ჩემო ვალერი, 9 ცრემ-  
ლიანი და 9 ტკი-  
ვილიანი წველი გავიდა,  
9-ჯერ ცხრა თებერვალი.  
საბედისწერო აღმოჩნდა ეს  
თარიღი შენს ცხოვრებაში,  
80 დღე რა არ ვიდნეთ  
შენს გადასარჩენად, მაგრამ  
ყოველივე ცდა უშედე-  
გოდ დამთავრდა. ბევრი  
ვეებროდეთ სიკვდილს,  
მაგრამ დაემარცხდით, მაგრამ სახელი მაინც  
ვერ წაშალა. შენს სახელს, ვიდრე ცოცხლებ-  
ში ვითვლებით, დაიწვევა არ უწერია. შენ ხომ  
სიყვარულის და კაცობის განსახიერება იყავი,  
გამორჩეული მასპინძლობით, ყველას ჭირისა და  
ლხინის გამზიარებელი. ღმერთი სამართლიანია  
და სწორედ ეს მაიმედებს, მას შეგავედრო შენი  
სპეტაკი სული და ჩვენმა დანთებულმა სან-  
თლებმა გზა გავინათოს მარადიული სასუფე-  
ვლისკენ... მაგრამ:



აქედან შენთვის ვილოცებ,  
რომ მოგიშუშდეს იარა,  
შენს სადღეგრძელოს სწორად ესვამ,  
მანდ სახე გქონდეს ფილა.  
ვერ მოესწარი რძლის ნახვას,  
რადგან სიკვდილი გეწერა,  
იცი, რა ღამაზი არის,  
სულ პატარა მზეწვია.  
შენი ჯიშისას ის გაზრდის  
ამაყო კაცო, ლომგული.  
მანდღან მისთვის ილოცე  
ბავშვებზე შეყვარებულ.  
როცა მეც ქვესენელს მიმაბარებენ,  
მიწას მომაყრის შეილის ხელები,  
ბოლოს ჩვენ მაინც ერთად ვიქნებით  
და შენ ცოცხელს მოვეფერებო.  
ნეტავ შენზე წინ მე მოვეკვდარიყავ,  
ჩემი სულიც ხომ დაისვენებდა,  
ის მანუგეშებს ჩემო ვაჟკაცო,  
მანდაც იქნებ „კაცი ლეგენდა“.  
იძინე ტკბილად ჩემო ვაჟკაცო,  
კაცურ კაცო, მართლაც ლომგული.  
დიდ წინაპრების გვერდით იდექი  
გიორგიწმინდაზე შეყვარებულ.

მამა

ღვინის გარეშე ქართველთა  
არ დარწმუნა აკვანი.

ქართველი ვაჟკაცებით  
მხრები ღარად გვაქვს გაშლილი,  
შენი ცრემლების გარეშე  
არ გაჭედილა მახვილი.

შენი ცრემლებით ლოცავენ  
ქართველნი მკვდარს და ცოცხალსა,  
შენგან დამთვრალნი ვაჟკაცი  
არ იშურებენ კოცნასა.

შურით და ბოღმით ნაპყარი  
გნებავდა მტერი ბედარული –  
ვერა დაგაკლეს, გამრავლდი  
ქვეყნად შენა ხარ ქებული.

უფლისგან ნაკურთხს, დალოცვილს  
ძირებს გითოხნის გლეხია,  
მისგან ნაფერებს მიწაში  
ფართოდ გაგიღვამს ფესვია.

ვაზო, ღამაზო, ნარნარო,  
მწვანე ხავერდი გიხდება,  
სიკვდილსაც შენით ლოცავენ,  
სიცოცხლევ შენით იწყება.

### მოსაბონარი

#### ბიორბი პირაკო- ზაშვილი

შვილო გია, ჩემო  
სიცოცხლე-უკვე მუ-  
ქვესედი მოდის შენი  
დაბადების დღე  
უშენოდ. არ ქრება სან-  
თელი შენს ოჯახში,  
საფლავზე, მემორი-  
ალზე, ტაძარში. შენს  
ტანსაცმელს შენი სურ-  
ნელი ჯერ კიდევ არ  
გაქრებია, რომელსაც  
თითქმის ყოველ დღე  
ეყვებოდა დედაშენი,  
რომ იცოდე, შვილო,  
ტკივილამდე შენატრები!



შენი ყოველდღიური მოგონება, მოფერება მაფხი-  
ზლებს, მწარე რეალობასთან მბრუნებს და არ  
მაშინ მჯერა – წამის უარყოფა – შენისთანა  
ახალგაზრდების, ღამაზი სიცოცხლე ღმერთმა  
სიბერისათვის არ გაიმეტა და თავისთვის დაი-  
ტოვა, ცაღამაღლებულს – გამოს საგარეჯოს  
რაიონიდან გილოცავ დაბადების დღეს – 9  
თებერვალს, ჩემო მარად 33 წლის, საარტილერიო  
დივიზიონის კაპიტანო, დახვეწის ოფიცერო,  
მათრო, იურისტი, გენერლობაზე მეოცნებე, ჩემო  
ლიმილიანი, სითბოსა და სიხარულის მანათო-  
ბელო, ჩემო სამუდამო ტკივილო და მონატრებე,  
ჩემო უდროოდ გულისცემა შეწყვეტილო, ჩემო სი-  
ცოცხლეზე თვალდარწმუნებელი შვილო, გია!

ვფიცავ, არ გაუპრო დიდი სიხარული, რო-  
მელიც შენმა დაბადებამ მოგეტანა ჩვენ ყვე-  
ლას!

ვფიცავ, შენი სიცილი, შენი სიმღერა, შენი ყვე-  
ლა მანერა გულში მაქვს ჩაბუდებული!

ვფიცავ, მოწიწება, სანთლები არ მოაკლდება  
შენს საფლავს, შენს სულს, სანამ ცოცხალი  
ვიქნები!

ვფიცავ, შენი გზით ვივლი სიკეთისა და  
კეთილშობილების გზით, მერე კი შენთან მოვ-  
ალ!!!

შვილო, გაიგე ალბათ, შენმა პატარა შვილმა,  
რომელიც დაბადებამდე დაობდა, შენი საფლა-  
ვი მოინახულა შობას, ახლა ხომ გჯერა, რომ  
ყველას გულში ხარ, შვილო?!

ჩვენს დიდ ოჯახს განგებამ დიდი სევდა არ-  
გუნა ცხოვრებაში, მაგრამ შენ არასოდეს მოახ-  
ვევდი საკუთარ ტკივილს და დარდს სხვას,  
საუბარს ერიდებოდი, სიკეთითა და სიყვარულით  
იცხოვრე და უამრავი ადამიანის ცრემლების  
ზღვა გაიყოლე მარადიულ სასუფეველში. 2008  
წლის 9 აგვისტოს რა თავზარდამცემი იყო  
ყველასათვის შენი ამქვეყნიდან წახვლა იმქვეყ-  
ნად. საქართველოს ყველა კუთხეში ყველა სი-  
ყვარულით ვიგონებს...

ჩემო ძვირფასო, მე და შენ ორ სხეულში  
ჩაბუდებული ერთი სული ვიყავით. დღეს ეს  
სითბო და ხიბლი დაეკარგე შენი წახვლით, მა-  
გრამ სიკვდილით არ მთავრდება ყველაფერი,  
მხოლოდ „სიკვდილით ფასობს სიცოცხლე“, –  
ბრძენკაცს უთქვამს.

„ღმერთმა გიშველოს სიკვდილო, სიცოცხლე  
ხარობს შენითა!“

შვილო, ალბათ თაობებს ეყოფა სულიერ საზ-  
რდოდ შენი თავგანწირვა საქართველოსათვის  
გამდლობთ ასეთი შვილობისათვის!

მოსაგონარი მინდა დავასრულო ლექსით, რო-  
მელიც 1997 წელს, კვალიფიკაციის ამაღლები-  
ნას იმდროე გენერალ ოთარ შალიკაშვილთან  
შეხვედრასზე, ტეხასის შტატში და დიდი მოწონე-  
ბაც დაიმსახურე. გასულ წელს კი, სიხარულით  
ითხოვედი: არ დავიწყებოდათ და სწორად ემდუ-  
რათ ეს სიმღერა:

**„სევდა ჩუმიდ ათოვს დღეებს,  
გველოდება ისევ ბრძოლა  
და ქარს მიაქვს ჩვენი ხმები შორს,  
თუ რამ გინდა დღეს მითხარი,  
ხელ იქნება ალბათ გვიან,  
არ დაგვრჩება მოგონების დრო,  
დედასაქართველოს ლოცვით  
დაგვიფარავს ეს მანდილი  
და გვახსოვდეს ქართველები ვართ.  
ჩვენი ჯერი თუ დადგება,  
გავიზრდებით რაინდებად,  
მამულისთვის ჩვენც ავიღებთ ხმალს!“**

შვილო, დღეს დანთებულმა სანთლებმა  
გავინათოს სასუფეველის გზა, უფალმა ნათელ-  
ში ამყოფოს შენი და შენი თანამებრძოლების  
უკვდავი სული. ღმერთმა დაიფაროს ყველა  
გარდაცვლილის სული, ცოცხლებს კი ყველას  
მშვიდობას, კეთილდღეობას, ჯანმრთელობას და  
ბედნიერებას ვუსურვებ!

*დღეს  
დალი პირაკო-ზაშვილი*

ვახუთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია  
თანაგონობას უცხადებს გიორგი ქურდო-  
ვანიძეს მამის, სოფლის მეურნეობის დამ-  
სახურებელი მუშაკის, ჩვენი ქალაქის კოლ-  
ორიტის, ჭეშმარიტი საგარეჯოელის  
**ტირთიმე ქურდიანის**  
გარდაცვალების გამო.

### „გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:  
**თინათინ ილაური**

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,  
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,



ვახუთი აიწყო და დაკაბადონდა შპს. „გარეჯის მაცნეში“  
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842  
599 851 143

ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru